# ალია

საორგანიზაციო ჯგუფის წევრი გურამ ზურაბაშვილი:

„გთხოვ ყველა მძღოლს, 13 დეკემბერს 5 საათზე, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი, 10-წუთიანი გაბმული „სიგნალი“ მისცენ, რათა გააგონონ ხმა ამ აბსურდული ინიციატივის ავტორებს“

N188/3310/ 11-14 დეკემბერი 2015 წ ფასი 1 ლარი
ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი
WWW.ALIA.GE

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

## იაშვილის კლინიკაში მენინგიტის დიაგნოზით ორი ბავშვი მკურნალობს – სკოლაში სწავლა შეჩერდა

არსებობს თუ არა ინფექციის მასობრივად გავრცელების საშიშროება?



6

## ელისაშვილის ბრალდებებზე მარგველაშვილიც დუმს, უსუფაშვილიც, ბადაშვილიც, წულუკიანი კი რას ამბობს, თავადაც არ იცის!



2

## რა ინფორმაციები ჟონავს კულუარებიდან და რა ცვლილებებს უნდა ველოდოთ ხელისუფლებაში?



4

მთლად ასე დარწმუნებული ნუ იქნებით, პატივცემულო ნუკრი, რომ „ოცნება“ ხელისუფლებაში დარჩება! „ნაცებს“ კი „ბლატაობის“ საშუალება თქვენი გუნდის უუნარობამ მისცა!



5

## აქ უკვე ხელისუფლებამ „ჭამა“ და პარლამენტმაც „დაიკიდა“

ფაქტია, ვერ იმუშავა ბიძინა ივანიშვილის თეორიამ, სახელგატეხილი ჩინოვნიკები განსხვავებულ პირობებში უკეთესად იმუშავებენო



9

## რას აცხადებენ პარტიები, რომლებმაც „ვიზალიბერალიზაციის მიმართვას“ ხელი არ მოაწერეს?



12

1 წლის თავზე პენსიის დაგროვება შესაძლებელი გახდება




12

## არქიმანდრიტი ანთიმოზი პატრიარქის საჩუქარმა განკურნა



7

## ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი:

„ალეკოს პირადად როგორც წესიერ ადამიანს, ისე ვიცნობ და არა მგონია, რომ ეს რაღაც შეგნებული პროვოკაცია ან ტყუილი იყოს“



თუ ეს ასეა, გამოდის, რომ ქვეყნის პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე და იმდროინდელი მთავარი პროკურორი დანაშაულში არიან მხილებული

7

## „თბილისის მერია კორუფციაში ეფლობა. დასცინიან თბილისელებს და ნარმანიას სახით დაგვცინის ბიძინა ივანიშვილი“



13

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ოჰ, დიდი ხანია, აღარ გამოჩენილან ეს ახვრები ჩვენს საჰაერო სივრცეში!



საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთის მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტს პროვოკაციულ აქტს უწოდებს. როგორც უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, აღნიშნული ფაქტი წარმოადგენს მორიგ დადასტურებას, რომ რუსეთის ფედერაცია საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური ნორმებისა და პრინციპების დარღვევას არაფრად მიიჩნევს.

– 9 დეკემბერს დაახლოებით 18:48 საათზე ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში უკანონოდ განლაგებულმა რუსულმა უპილოტო საფრენმა აპარატმა დაარღვია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი საჰაერო სივრცე და გადაუფრინა გორის რაიონის სოფლებში კოშკასა და გუგუტიანთკარში განლაგებულ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) საგუშაგოებს.

2015 წლის 10 დეკემბერს, დაახლოებით 12:48 საათზე, ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში უკანონოდ განლაგებულმა რუსულმა Ми-8 ტიპის ვერტმფრენმა, დაარღვია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი საჰაერო სივრცე და გადაუფრინა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მერეთის ტერიტორიაზე განლაგებულ შსს პოლიციის შენობას;

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, შეასრულოს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ვალდებულებები, 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობები, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## რუსი ოკუპანტების მიერ შეშინებული ქალი არხში გადავარდა და გარდაიცვალა



ოკუპირებულ აფხაზეთში 27 წლის ქალბატონი არხში იმ დროს გადავარდა, როცა ის რუსი ოკუპანტებისგან თავის დაღწევას ცდილობდა.

ადგილობრივების ინფორმაციით, ავტომობილი, რომელშიც მარიამ ბიგვავა იმყოფებოდა, პირველ გალთან ოჩამჩირის მიმართულებით გადაადგილდებოდა, რუსმა ოკუპანტებმა გააჩერეს და მძღოლი და რამდენიმე მამაკაცი საგუშაგოზე შეიყვანეს. შეშინებული ქალი კი პირველ გალსა და საგუშაგოს შორის არხზე გადებულ ფილებზე გადასვლას შეეცადა, სწორედ ამ დროს დაუცურდა ფეხი მარიამს და შიგ ჩავარდა.

ინციდენტის შედეგად დაღუპული მარიამ ბიგვავას ცხედარი ამ დრომდე არ უპოვიათ. (ნიუპოსტი)

*იუსტიციის მინისტრის თქმით, ალეკო ელისაშვილს, განცხადებების გარდა, მოუწევს, პროკურატურას მტკიცებულებებიც წარუდგინოს.*

*ასე გამოეხმაურა წულუკიანი საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატის განცხადებას, რომელიც შეწყალების კომისიის თავმჯდომარედ ყოფნის პერიოდს უკავშირდება.*

*— კორუფცია ამ ქვეყანაში ვერ დაბრუნდება. თუ ვინმემ რამე დააშავა ამ სფეროში და კანონი დაარღვია, ეს არის სისხლის სამართლებრივი წესით დასჯადი. პროკურატურა ამ თემაზე მუშაობს. ბატონ ელისაშვილს, განცხადებების გარდა, მოუწევს, ყველა მტკიცებულება პროკურატურას მიაწოდოს, — განაცხადა წულუკიანმა.*

უშედეგოდ. სოფო ჯაჯანაშვილთან დარეკვა გუშინაც ვცადეთ და კვლავაც შედეგის გარეშე.

**რა გვაინტერესებდა, ჩემო ბატონო, და გვსურს, გავიგოთ, ნამდვილად ჩააყენა თუ არა საქმის კურსში ელისაშვილმა, როგორც თავად ამტკიცებს — პრეზიდენტი, მისი ადმინისტრაციის უფროსი და თუ ეს მართლა ასე მოხდა, რატომ დუმდნენ ამდენი ხანი და უფრო უარესი — რატომ არ ამბობენ არაფერს, როცა მთელი ქვეყანა ამ საკითხზე საუბრობს?! თქვენც არ მომიკვდეთ - სამი დღის წინ, როცა**

რომელიც სისხლის სამართლის ერთ-ერთ საქმეში იყო დაზარალებული და პროკურატურისგან კუთვნილი თანხის დაბრუნებაში ითხოვდა დახმარებას. ამ შეხვედრას ესწრებოდა იმ რაიონის პროკურორიც, რომელიც აღნიშნულ საქმეზე ზედამხედველობას ახორციელებდა. ასევე, ესწრებოდა ჩვენი სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსის მოადგილე. სხვა შეხვედრა ჩვენ მასთან არ გვქონია და შესაბამისად, მისი განცხადებები, რომ მოგვაწოდა რაიმე ინფორმაცია კონკრეტული სახელებისა და გვარების შესახებ, ან იმ საკითხებთან დაკავშირებით,

და ნაცვლად იმისა, რომ თეა წულუკიანი იმაზე საუბრობდეს და იმაში გვარწმუნებდეს, დამნაშავეებს ცხვირიდან ძმრად ადენს სახელმწიფო ყველაფერსო, ალეკო ელისაშვილს „პრავებს უკაჩავებს“, – მტკიცებულებები დადეო, ძმაოვო: „პროკურატურა ამ თემაზე მუშაობს. ბატონ ელისაშვილს, განცხადებების გარდა, მოუწევს, ყველა მტკიცებულება პროკურატურას მიაწოდოს...“

პროკურატურა სხვა ძალიან ბევრ საქმეზეც მუშაობდა, მაგრამ დღემდე გვაქვს რაიმე შედეგი?! არა! რამდენ-

# ელისაშვილის ბრალდებებზე მარგველაშვილიც დუმს, უსუფაშვილიც, ბადაშვილიც, წულუკიანი კი რას ამბობს, თავადაც არ იცის!





**რაც შეეხება პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს, დუმილი თანხმობის ნიშანიაო და დიახ, მათ აშკარად რაღაც იცოდნენ ელისაშვილისგან, თუმცა ხმას არ იღებენ**





**და ნაცვლად იმისა, რომ თეა წულუკიანი იმაზე საუბრობდეს და იმაში გვარწმუნებდეს, დამნაშავეებს ცხვირიდან ძმრად ადენს სახელმწიფო ყველაფერსო, ალეკო ელისაშვილს „პრავებს უკაჩავებს“, – მტკიცებულებები დადეო, ძმაოვო**

*რაც შეეხება კითხვას, ჰქონდა თუ არა ამ დრომდე ინფორმაცია შეწყალების კომისიაში კორუფციის ფაქტებთან დაკავშირებით, წულუკიანი ამბობს, რომ ამის შესახებ მედიისგან შეიტყო.*

*პროკურატურამ ელისაშვილის მიერ გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე უკვე დაიწყო გამოძიება ზეგავლენით ვაჭრობის მუხლით.* (ნიუპოსტი)

3-4 დღე გავიდა უკვე და არც პრეზიდენტს, არც პარლამენტის თავმჯდომარეს, არც ყოფილ პროკურორს ელისაშვილის ბრალდებებზე კრინტი არ დაუძრავთ. ეტყობა, ნამეტანი დაკავებულები არიან და ამ სკანდალისთვის დრო ვერ გამონახეს, თორემ ერთი პატარა განცხადების გავრცელებას წინ რა უდგას? არაფერი! მით უმეტეს, ისეთ თემებს ეხმაურებიან ხოლმე საკმაოზე მეტად აქტიურად და როგორ შეიძლება, ასეთი ამბავი ურეაქციოდ გაატარო?!

„ალია“ სამი დღის წინაც შეეცადა პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან კითხვებზე პასუხის მიღებას, თუმცა

**„ალიას“ ჟურნალისტმა ნინო ლაბარტყავამ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსთან, სოფო ჯაჯანაშვილთან დარეკა, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული კითხვა სწორედ მასთან გვქონდა, უპასუხა, რომ დააკვალიანებდა, ვინ მისცემდა კომენტარს ამ საკითხზე. როცა ცოტა ხანში დავურეკეთ, მისი ტელეფონი გათიშული დაგვხვდა. გუშინ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს ტელეფონი ჩართული კი ჰქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გვიპასუხა.**

**ვერ მოვიპოვეთ ვერც დავით უსუფაშვილის კომენტარი.**

რაც შეეხება ბადაშვილს, როგორც მისი ყოფილი მოადგილე გიორგი გოგაძე აცხადებს, რომელზეც ელისაშვილი ასევე ამტკიცებს, რომ ყველაფერი იცოდა ზეწოლის შესახებ, საკრებულოს დეპუტატის განცხადება სრული სიცრუეა.

– ალეკო ელისაშვილის განცხადება არის სრული სიცრუე. მე მას მართლაც შევხდი, თუმცა ეს ეხებოდა მისი სკოლის მასწავლებელს თუ დირექტორს, რომელზეც თავად საუბრობს, არის სიცრუე, – განაცხადა გოგაძემ.

მისივე თქმით, ალეკო ელისაშვილის განცხადების საფუძველზე დაწყებულია გამოძიება, რომელიც 339-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ზეგავლენით ვაჭრობას გულისხმობს.

ახლა დავუბრუნდეთ თეა წულუკიანს, რომელიც ჩვეულ სტილს არ ღალატობს და კვლავაც არაადეკვატურ შეფასებებს აკეთებს:

იუსტიციის მინისტრი აცხადებს, საქართველოში კორუფცია ვერ დაბრუნდებაო, რაშიც, სამწუხაროდ, ეჭვი გვეპარება! კორუფციაზე მეტი არ არის, როცა ჩინოვნიკები პატიმრების, თუნდაც უკანასკნელი გარეწრის, ბედით ვაჭრობენ და გამდიდრება სურთ?! არა, თუ ეს ასე არ არის და იგონებს ელისაშვილი, დაამტკიცოს გამოძიებამ და გახსნას ეს მორიგი ხმაურიანი დანაშაული, თუმცა ისე კი არა, როგორც აქამდე „ხსნიდა“ საქმეებს, რეალური შედეგები დადოს, მით უმეტეს, ელისაშვილმა გამოძიებას კონკრეტული გვარ-სახელები უკვე ოფიციალურად დაუსახელა!..

იმე ადამიანს „ნაცმოძრაობის“ მიერ წართმეული მანქანები დაუბრუნა და მორჩა. ჰოდა, რატომ უნდა დავიჯეროთ, რომ ამ საქმეს ნათელი მოეფინება? მით უმეტეს, რომ საუბარია „ქართული ოცნების“ ჩინოსნებზე და კიდევ უფრო მთავარი – ამას ამბობს არა მხოლოდ ალეკო ელისაშვილი, არამედ ზვიად ქორიძეც. პირველი – შეწყალების კომისიის ყოფილი, მეორე კი მოქმედი თავმჯდომარეა.

შეთქმულების თეორიების მოყვარულები ამტკიცებენ, რომ ელისაშვილი და ქორიძე „ნაცმოძრაობის“ თამაშს თამაშობენ, რასაც, რა თქმა უნდა, დამტკიცება სჭირდება, თუმცა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჯერ იმას დაამტკიცებენ, რომ სიცრუესთან გვაქვს საქმე.

რაც შეეხება პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს, დუმილი თანხმობის ნიშანიაო და დიახ, მათ აშკარად რაღაც იცოდნენ ელისაშვილისგან, თუმცა ხმას არ იღებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის დაფარვისთვის ისინიც სასჯელს იმსახურებენ. ნუ, ნორმალურ სახელმწიფოში ნამდვილად ასე იქნებოდა...

# აი, ისიც — უკრაინელი „ცოტნე დადიანუკი“! თაფლი თუ გააყოლა ხელს, მაგას ვერ გეტყვით...









ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი უკრაინის ნაციონალურ ანტიკორუფციულ ბიუროში მივიდა და მისი მისამართით გაჟღერებულ ბრალდებებთან დაკავშირებით შემოწმება მოითხოვა:

– მე უკრაინის ნაციონალურ ანტიკორუფციულ ბიუროში პირველი საქმით მივედი. დაე, შემოწმება ჩემით დაიწყონ, მაგრამ ამასთანავე შეამოწმონ ყველა ის ადამიანი პრემიერის გუნდიდან, რომელიც მე ბრალს მდებს. ამასთანავე, პეტრო პოროშენკოს ბლოკის წევრი კონკრეტული დეპუტატებიც და სხვა სახელისუფლებო ჯგუფის წევრები, – წერს სააკაშვილი „ფეისბუკზე“.

შეგახსენებთ, სააკაშვილის მიერ ხელისუფლების წევრების კორუფციაში დადანაშაულებას, ზოგიერთი პოლიტიკოსის მხრიდან საპირისპირო ბრალდებები მოჰყვა. (ნიუპოსტი)

**მხოლოდ მისვლა რას არგია უკრაინას, მიხეილ, უნდა შენი მილიონებით მისულიყავი, მიმოგეფანტა საგამოძიებო უწყების ტერიტორიაზე, დამჯდარიყავი იქვე და დალოდებოდი განაჩენს. ასე გალიმებული და ერთი „პაპკით“ მისვლა ვითომ რაო, გმირობაში უნდა ჩაგეთვალოს?**

**ჰოდა, გაიგებდა იაცენიუკი და სხვებიც, ვისაც არ უყვარხარ და აღფრთოვანდებოდა შენი ვაჟკაცობით — ეს რა ბაჯაღლო ოქრო გვყოლია, ჩვენ კი ვებრძოდით, თვალების დაჩიჩქვნას ვუპირებდითო.**

**მოკლედ, ზუსტად ისე უნდა მოქცეულიყავი, როგორც აქ იცოდი ხოლმე თავის მოქონვა და უამრავი ადამიანის დაბოლება — მაიმუნური პიარსვლები „ნაცებს“ რომ არ გეშლებათ, ეგ ხომ არახალია!**

**ჰო, კიდევ ერთი და ამ ამბავზე უფრო მთავარი — უკრაინულ მედიასთან რომ დააბრეხვე, საქართველოში მიტინგები მე არ დამირბევიაო, ეგ ოლრაშობა როგორ ამოუშვი პირიდან?! აბა, ვინ დაარბია, ოხერო, ტარტაროზები ამოვიდნენ მიწისქვეშეთიდან და იმათ გახიეს ხალხი ცემაში, იმათ დაასისხლიანეს ქალებიც, კაცებიც, მოხუცებიცა და მოზარდებიც? მაშ, მტყუნის?!**

**იქნებ ტელევიზიაშიც არ შევარდნილხარ, იქნებ ბიზნესმენებიც არ დაგიფერთხავს და არც მიწაზე გიხოხიალია, ჰა?!**

**ხალხო, ვისაც უნდა, რომ ეს ისევ საქართველოში მობრუნდეს, სულ ცოტათი მაინც არ გაწუხებთ სინდისის ქენჯნა?!**

# მთავრობის ახალი დადგენილების გამო, შესაძლოა, ფქვილი გაძვირდეს!





1-ლი იანვრიდან ხორბლის ფქვილის ტექნიკური რეგლამენტი ძალაში შედის. როგორც სოფლის მეურნეობისა და სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ქეთევან ლაფერაშვილმა განმარტა, რეგულაციები, სავარაუდოდ, ფქვილზე ფასის მატებას არ გამოიწვევს.

– 1-ლი იანვრიდან ძალაში შედის საქართველოს მთავრობის დადგენილება 376, რომელიც 2015 წლის 27 ივნისს დამტკიცდა – ეს არის ხორბლის ფქვილის ტექნიკური რეგლამენტი. ის არეგულირებს ქვეყანაში რბილი, ქონდარა ხორბლის ფქვილის წარმოების, გადამუშავებისა და ბაზარზე განთავსების პირობებს. ანუ განვმარტავ, 1-ლი იანვრიდან შეძენილ ფქვილზე უნდა იყოს ეტიკეტი განთავსებული, სადაც მომხმარებელს შეეძლება, იხილოს, რა ფქვილს ყიდულობს, როგორია მისი ხარისხი – არის ექსტრაფქვილი, უმაღლესი ხარისხის, მეორე ხარისხის, პირველი ხარისხის თუ ა.შ. ანუ ყველას თავისი სახელი დაერქმევა.

არაფერი განსაკუთრებული არ იცვლება და წესით, ტექნიკური რეგლამენტის შემოღებამ ფასების გაძვირება არ უნდა გამოიწვიოს – ის, რაც იყო ბაზარზე, ისევე დარჩება, უბრალოდ, სწორად და მართებულად იქნება რეგულირებული, – აღნიშნა ლაფერაშვილმა.

რაც შეეხება პურის ტექნიკურ რეგლამენტს, ლაფერაშვილი განმარტავს, რომ პროექტი დამუშავების პროცესშია და მისი ინიციატორი ბიზნესოპერატორებისგან შენიშვნებს იღებს.

– პურის რეგლამენტთან დაკავშირებული პროექტი სამინისტროში დიდი ხნის წინ მომზადდა. ამის შემდეგ შევხვდით ყველა ბიზნესოპერატორს, რომელიც ამ სფეროთია დაკავებული და მომზადებული დოკუმენტი გავაცანით, მათ გამოგზავნეს შენიშვნები – ზოგიერთი გავითვალისწინეთ, ზოგიერთი – ვერა. პურის მწარმოებლებს არ ექნებათ პურის შეფუთვის ან მასზე ეტიკეტის დატანის ვალდებულება, უბრალოდ, როცა საწარმოდან გამოდის პური, მას უნდა მოჰყვებოდეს დოკუმენტი, სადაც პროდუქტის მახასიათებლები იქნება მითითებული, ხოლო პურის მაღაზიები, დახლზე მისი დადების შემდეგ ვალდებული იქნებიან, მიუთითონ, რომელი რა პურია, რას შეიცავს და ა.შ., – აღნიშნა ლაფერაშვილმა და დასძინა, რომ. სავარაუდოდ, პურის ფასის ზრდას არც აღნიშნული რეგლამენტი გამოიწვევს. (bpn.ge)

**ასე გვიმტკიცებს შს სამინისტროც, მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვა მოსახლეობაზე არანაირ გავლენას არ მოახდენსო, მაგრამ სულ რამდენიმე დღეში იაპონური მანქანები 20 პროცენტით გაძვირდა!..**

**რატომ არის, კაცო, რომ რაც კი რამე სიახლე აქვს მთავრობას, ყველაფრის გამო მოსახლეობა ზარალდება და ისედაც გაჭირვებული ხალხის მდგომარეობა უფრო მძიმდება?**

**რომ გაძვირდეს ფქვილი, მერე რას იტყვიან, ძალიან საინტერესოა — ჩვენი ბრალი არ არის, ჩვენ ხალხზე ვზრუნავდით, შემთხვევით „შემოგვეძვირაო“?!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პუტინის დავალებით, რუსეთის ფინანსთა მინისტრი უკრაინას სასამართლოში უჩივლებს



რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ქვეყნის პირველ ფინანსისტს, ვალის დაუბრუნებლობის გამო, უკრაინის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანა დაავალა.

როგორც რუსეთის ფინანსთა მინისტრმა ანტონ სილუანოვმა პრეზიდენტ პუტინს განუცხადა, ევროპელმა მაღალჩინოსნებმა არაოფიციალურ საუბრებში განაცხადეს, რომ არ დაეთანხმებიან უკრაინის ვალის რესტრუქტურიზაციას.

– მიმართეთ სასამართლოს. საინტერესოა, თუ დასავლეთის პარტნიორები დარწმუნებულები არიან, რომ უკრაინა გადახდისუნარიანია მომავალ წელს, შეიძლებოდა, რომ წლების მანძილზე ეს რისკები გაეყოთ. ეს გაუგებარია“, – მიმართა პუტინმა ფინანსთა მინისტრს მთავრობის წევრებთან შეხვედრისას. (pia.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პენიტენციურ სისტემაში პატიმართა გარდაცვალების 12 შემთხვევა დაფიქსირდა — ომბუდსმენის ანგარიში



საქართველოს სახალხო დამცველმა დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს 2015 წლის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ ანგარიში წარადგინა. ანგარიშის თანახმად, პატიმართა გარდაცვალების, მათ შორის სუიციდის ფაქტები წინა წელთან შედარებით შემცირებულია.

2015 წლის 10 ნოემბრის მდგომარეობით, პენიტენციურ სისტემაში დაფიქსირდა გარდაცვალების 12 შემთხვევა, მათ შორის 2 სუიციდი. 2014 წელს კი გარდაცვალების 27 ფაქტი დაფიქსირდა, მათ შორის სუიციდის 7 შემთხვევა.

სახალხო დამცველის თქმით, გარდაცვალების შემთხვევათა შემცირება პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის სფეროში მიღწეულ პროგრესზე მიუთითებს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## დედასა და ორ მცირეწლოვან შვილს მანქანა დაეჯახა




თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ქვეითად მოსიარულე დედდას და მის ორ მცირეწლოვან შვილს ავტომობილი დაეჯახა.

დაშავებული დედა რესპუბლიკურ საავადმყოფოშია გადაყვანილი. ხოლო ბავშვები იაშვილის კლინიკაში მართვით სუნთქვაზე იმყოფებიან.

როგორც შსს-ს პრესსამსახურში აცხადებენ, მომხდარზე უკვე დაწყებულია გამოძიება. საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით აღიძრა, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

## უკრაინაში კიდევ ერთი ქართველი მებრძოლი დაიღუპა



უკრაინაში ანტიტერორისტული ოპერაციის (ატო) ზონაში საბრძოლო მანქანის ნაღმზე აფეთქების შედეგად ორი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. გავრცელებული ინფორმაციით, მათ შორის ერთი, ქართველი მოხალისე, მებრძოლი ირაკლი ქუთელიაა.

ატოს პრესცენტრის ინფორმაციით, აფეთქება დასახლებულ პუნქტთან ახლოს მოხდა. უკრაინული მედიის გადმოცემით, დაჭრილია 93-ე ბრიგადის 7 სამხედრო მოსამსახურე.

მომხდარის შესახებ სოციალურ ქსელში წერს ერთ-ერთი მოხალისე რომან დონიკიც. (ნიუპოსტი)

## ლაგოდეხის 2 ეკლესიიდან შესაწირი ყუთები მოიპარეს



ლაგოდეხში სამების სახელობის ეკლესია გაძარცვეს. წაღებულია ტაძრის შესაწირი ყუთი.

რადიო „ჰერეთის“ ინფორმაციით, ეს მიმდინარე კვირაში ლაგოდეხში ეკლესიის გაქურდვის უკვე მესამე შემთხვევაა.

მრევლის ინფორმაციით, ლაგოდეხში ყაზანის ეკლესიიდან დაუდგენელმა პირებმა შესაწირი ყუთი 2-ჯერ მოიპარეს. უცნობია, რა ოდენობის თანხა იყო ყუთებში. (mediamall.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ნინო მიქიაშვილი: „რუსთავი 2“-ის ეთერში ისეთი გამოსვლა ჰქონდა, ბექა მინდიაშვილიც კი გაოცებული უყურებდა“



ჟურნალისტი ნინო მიქიაშვილი „ფეისბუქში“ პოსტს აქვეყნებს: შეწყალების კომისიის მოქმედი და ყოფილი თავმჯდომარეები „სოროსელები“ არიან. პატიმრების შეწყალებასთან ჩვენი პატრიარქის რაიმე ფორმით შეხებას აპროტესტებენ და პატიმრების შეწყალებაში ხელს „სოროსელები“ რომ აფათურებენ, ეს ნორმალურად მიაჩნიათ.

შეწყალების კომისიის ამჟამინდელი თავმჯდომარე ზვიად ქორიძე წლების განმავლობაში მუშაობდა ფონდ „ღია საზოგადოებაში“, იმ ჯგუფის ხელმძღვანელი იყო, რომელიც გრანტებს ანაწილებდა. მისი „სოროსელობის“ ამბავი ქვეყანამ იცის და მე ამით ახალს არაფერს ვამბობ. მომიტევეთ, ფონდში ზვიად ქორიძის თანამდებობის ზუსტი დასახელება არ ვიცი.

შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარის ალეკო ელისაშვილის „სოროსელობის“ ამბავი კი ბევრს გაგაკვირვებთ. ბატონი ალეკო, რომელსაც ახლა, მისივე განმარტებით, უთვალთვალებენ და დასდევენ, ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოში“ მუშაობდა, გრანტების გამანაწილებელი ჯგუფის წევრი იყო. დაზუსტებული ინფორმაციით, 2010 წელს ფონდში იყო, მაგრამ როდის მივიდა იქ და რამდენი წელი იმუშავა, ამაზე ინფორმაცია არ მაქვს.

ადამიანებს ძალიან უკვირთ მისი „სოროსელობის“ შესახებ რომ იგებენ – როგორო, ტრადიციების მოყვარული კაცია, ხალხოსანი პოლიტიკოსიაო. ახლა ალბათ, აღარ გაუკვირდებათ – „რუსთავი 2“-ის ეთერში ისეთი გამოსვლა ჰქონდა, ბექა მინდიაშვილიც კი გაოცებული უყურებდა, ხოლო იქვე მსხდომი მისი თანამოაზრეები სიამოვნებისგან გაბადრულები იყვნენ. (marshalpress.ge)

## კიევში რუსი დივერსანტები დააკავეს, ერთი უკრაინელი სპეცრაზმელი დაიღუპა




კიევში რუსი დივერსანტების დაკავების ოპერაციის დროს უკრაინის უშიშროების სამსახურის თანამშრომელი დაიღუპა, – ამის შესახებ უშიშროების სამსახურის სპიკერმა ელენა გიტლიანსკაიამ განაცხადა. დივერსიული ჯგუფის გაუვნებელყოფის ოპერაცია კიევში 9 დეკემბერს, გვიან ღამით, განხორციელდა. დაკავებულია რუსეთის სამი მოქალაქე და სამი უკრაინელი, რომლებსაც დიდი რაოდენობით იარაღი და ტყვია-წამალი აღმოაჩნდათ. ოპერაციის დროს ერთი სპეცრაზმელი დაიჭრა. ის საავადმყოფოშია გადაყვანილი. დაღუპული სპეცრაზმელისა და დაკავებული დივერსანტების ვინაობა ამ ეტაპზე უცნობია. (kvira.ge)



ნინო სამხარაძე
599 71-14-22

## რა ინფორმაციები ჟონავს კულუარებიდან და რა ცვლილებებს უნდა ველოდოთ ხელისუფლებაში?



**კვირის ერთ-ერთი მთავარი გასარჩევი თემა ბიძინა ივანიშვილის აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნება-არდაბრუნების საკითხი იყო. როგორც ირკვევა, საარჩევნო რელსებზე გადასასვლელად გამზადებულ „ოცნებას“, სერიოზულ დაბრკოლებას თბილისის მერი, დავით ნარმანია უქმნის.**

**რა ცვლილებები შეიძლება მოხდეს ხელისუფლებაში? ვინ იღებს გადაწყვეტილებებს და რა ინფორმაციები ჟონავს სახელისუფლო კულუარებიდან?**

**„ალიას“ ექსპერტი მამუკა არეშიძე ესაუბრა:**

**— ირკვევა, რომ ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის პირველი ნომერი არ იქნება. ამას ადასტურებს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, რა ხდება კულუარებში, ეს თემა რატომ გახდა დაპირისპირების საგანი? ზვიად ძიძიგური აბსოლუტურად სხვა განცხადებას აკეთებს, 2016 წლის არჩევნებს ივანიშვილთან ერთად ჩავატარებთო, ხოლო ამ განცხადებას კატეგორიულად ემიჯნებიან უმრავლესობის ლიდერი გია ვოლსკი და პარლამენტის თავმჯდომარე.**

– მე მგონია, რომ კოალიცია „ქართული ოცნებას“ გამარჯვებისთვის სჭირდება ზუსტად ის, რომ ივანიშვილი იყოს სიის პირველი ნომერი. კულუარებში აქტიურად განიხილება რამდენიმე ვარიანტი. გადაწყვეტილებას იღებს ძალიან მცირე გუნდი, რომელშიც შედის პოლიტსაბჭოს მხოლოდ რამდენიმე წევრი. მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას ბიძინა ივანიშვილი მიიღებს.

**— „ქართულ ოცნებაში“ გადაწყვეტილებების მიმღები, ირაკლი ღარიბაშვილისა და კახი კალაძის გარდა, ვინ არიან?**

– ვინც თქვენ ჩამოთვალეთ, მათ გვარებს დავამატებ ბიძინა ივანიშვილს, დანარჩენები რჩევისა და კორექტირების დონეზე ერევიან. გადაწყვეტილების მიმღები ძირითადად არის ეს სამი პიროვნება.

**— თუკი ივანიშვილი უარს ამბობს, იყოს საარჩევნო სიის პირველი ნომერი, ვინ შეიძლება იგი ჩაანაცვლოს?**

– ამ ეტაპზე საუბარია, რომ სიის პირველი ნომერი იყოს ირაკლი ღარიბაშვილი, მაგრამ ეს არ არის საბოლოო ვარიანტი. არ არის გამორიცხული, რომ კახი კალაძის პერსონა გააქტიურდეს და კვლავ ის იყოს სიის პირველი ნომერი. მოკლედ, გააჩნია, როგორ გადანაწილდება აღმასრულებელ ხელისუფლებაში თანამდებობები. დღეს აქტიურად განიხილება ნარმანიას მერობიდან წასვლის საკითხი, თუკი ნარმანია ვადაზე ადრე წავა მერობიდან, ახლად მოსული ვიცე-მერი შეასრულებს მერის დროებით მოვალეობას და არის ვარაუდი, რომ 2016 წელს თბილისის მერის არჩევნებიც ჩატარდეს.

**— ნარმანია არ აპირებს, გადადგეს ვადაზე ადრე, ეს გამოჩნდა კიდეც იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანთან დაპირისპირების დროს, როცა წულუკიანმა ნარმანია გააკრიტიკა და მიუთითა, რომ კეთილი ინებოს და სოფელ დიღომს მიხედოს, ამაზე მერმა უპასუხა, რომ ის მშვენივრად მუშაობს. ჩვენ ვხედავთ, რომ ხელისუფლება დაპირისპირებულია მერთან, რით დასრულდება ეს რაუნდი?**

– ახლა ყველა ერთმანეთის წინააღმდეგ არის ჩასაფრებული, რომ ვიღაცამ არ მოინდომოს მღვრიე წყალში თევზის დაჭერა, რადგან დღეს არის გაურკვეველი ვითარება კონკრეტული მიმართულებებით. თეა წულუკიანი „ქართული ოცნების“ ლიდერად არ ითვლება, ის არის აღმასრულებელი ხელისუფლების გამოჩენილი მინისტრი. მომდევნო წელი იქნება გადამწყვეტი. გამოდის ბევრი ინფორმაცია, რომ ტენდერებიდან თანხები „ტყდება“. მაგალითად, მუსირებს ინფორმაცია, რომ აპირებენ ტენდერის ჩატარებას, ძალიან დიდი ფული დარჩება მავანთ, მხოლოდ რამდენიმე ადამიანს. ნარმანიას ვაფრთხილებ თქვენი გაზეთის საშუალებით, იყოს ძალიან ყურადღებით, რადგან ჩასაფრებულები არიან, როგორც დაინტერესებული პირები, ასევე დაინტერესებული საზოგადოება, ტენდერი ეხება სატრანსპორტო საშუალებებს. არ მინდა ამ თემაზე შემდგომ იყოს გაუთავებელი საუბრები და სჯობს, საკითხს დროულად მიეხედოს. აღმასრულებელი ხელისუფლება პასუხისმგებელია ქალაქის მერის მუშაობაზე და ჯოხი ტყდება არა მხოლოდ ნარმანიაზე, არამედ მთლიანად გუნდის წევრებზე. აქედან გამომდინარე, თეა წულუკიანის კრიტიკა უნისონშია მთავრობის სხვა წევრებისა თუ პარლამენტარების კრიტიკასთან, ისინი უკმაყოფილონი არიან ნარმანიას მუშაობით, რადგან საზოგადოება მათაც აკრიტიკებს ნარმანიას მუშაობის შენელებული ტემპის გამო. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ბიძინა ივანიშვილის გაღიზიანება უკვე გადასულია აგრესიაში ნარმანიას მიმართ, მან კიდეც განაცხადა, რომ შეცდომა დაუშვა, როდესაც ნარმანია თბილისის მერობის კანდიდატად წარადგინა.

**— ბატონო მამუკა, გაიჟღერა ასეთმა მოსაზრებამაც რომ არჩევნებამდე ირაკლი ღარიბაშვილს გადაიყვანენ ვიცე-მერად, რომელიც შეასრულებს მერის მოვალეობას, დარჩენილ დროში შეეცდება, ვითარება კარდინალურად შეცვალოს, ხოლო პრემიერ-მინისტრის ფუნქციას ვიცე-პრემიერი კახი კალაძე შეითავსებს. ეს რამდენად რეალურია?**

– თქვენ მიერ გაჟღერებულ ვერსიას არსებობის უფლება აქვს და ამაზე კულუარებში ყრუდ მსმენია, მაგრამ საბოლოოდ რა იქნება, ეს არავინ იცის. ერთი რამ ფაქტია, დავით ნარმანიას მერობიდან წასვლის შესახებ უკვე აქტიურად საუბრობს მმართველი გუნდი. იციან, თუ ნარმანია მერის თანამდებობაზე დარჩება, არჩევნებზე ხალხი არ მოვა. მიუხედავად იმისა, რომ უგულავა იყო ყაჩაღი, ცუდად თუ კარგად, მუშაობა მიდიოდა. საქმის კეთების იმიტაცია იყო. ხალხს კი ეს ურჩევნია, ვიდრე იმის ყურება, რომ არაფერი კეთდება. თუ პარტიის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, ნარმანია კი არა, ყველა გადადგება პოსტიდან. პარტიული დისციპლინის თვალსაზრისით მინდა იცოდეთ, რომ მმართველ გუნდში ყველაფერი კარგად არის. დაბლაა მძიმე მდგომარეობა, თორემ ზევით ყველაფერი რიგზეა.

**— კიევის ყოფილი მერის, ლეონიდ ჩერნოვეცკის ქართულ პოლიტიკაში ჩართვაზე, სოციალურ ქსელებში აჟიოტაჟი არ წყდება. თქვენ როგორ აფასებთ მისი პოლიტიკური საქმიანობის წამოწყებას საქართველოში, რამდენად შეძლებს, კონკურენცია გაუწიოს მმართველ გუნდს, ან სხვა პოლიტიკურ პარტიებს, ვისი პროექტია ის?**

– სხვათა შორის, ამჟამად ჩემთან სტუმრად არიან უკრაინელი ჟურნალისტები და მათგან ვისმენ ბევრ საინტერესო ამბავს კიევის ყოფილ მერზე, ეს გახლავთ საკმაოდ ეპატაჟური ადამიანი, ეს არის ადამიანი, რომელმაც ბევრი დალალა კიევში თავისი ჰიპერაქტიურობით და თავის დროზე ძალიან სერიოზულად დაუპირისპირდა ლეონიდ ჩერნოვეცკი კლიჩკოს, ვიდრე ის კიევის მერი გახდებოდა. ბევრ კორუფციულ გარიგებაში ედება ბრალი, მიუხედავად იმისა, რომ იუშჩენკოს გუნდის წევრად ითვლებოდა, საბოლოო ჯამში, მას გამოექცა საქართველოში და სააკაშვილის ხელისუფლებამ იგი შეიფარა. ეს არის ძალიან საინტერესო ეპიზოდი იმ თვალსაზრისით, რომ სააკაშვილისა და იუშჩენკოს ახლო კავშირების მიუხედავად, სააკაშვილის ხელისუფლებამ ჩერნოვეცკი მაინც შეიფარა. მგონია, რაღაც სხვა რამეშია საქმე, ჩერნოვეცკი ძალიან დიდი ფულის პატრონია. არ გამოვრიცხავ მაშინ სერიოზულ გარიგებას ჰქონდა საქმე. რამდენადაც ვიცი, უკრაინის ახალ ხელისუფლებას მისი დევნით მაინცდამაინც თავი არ მოუკლავს, არ გამოვრიცხავ, რომ მის უკან დგას კონკრეტული ჯგუფი, რომელიც ჩერნოვეცკის გააააქტიურებს, მაგრამ არც იმას გამოვრიცხავ, რომ თავის საქციელში იყოს ეპატაჟური და ეს გადაწყვეტილება თავად მიიღოს. არის ვერსია, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და მიხეილ სააკაშვილმა გააქტიურეს ჩერნოვეცკი, რომ შექმნან უფრო მეტი პოლიტიკური დაძაბულობა. ასევე, არის ის ვერსიაც, რომ დასავლეთის სპეცსამსახურებმა გააააქტიურეს, რათა მმართველ გუნდს ხმები წაართვას. შეიძლება ყველა ვერსია რეალური იყოს, დღევანდელი გადასახედიდან გეტყვით, რომ შესაძლოა, მართლაც წაართვას მმართველ გუნდს ხმები, მაგრამ ეს მათზე დიდად არ იმოქმედებს.

**— და ყველაზე მთავარი, როგორ ფიქრობთ, თინა ხიდაშელმა მოახერხა თუ არა რუსეთის გაღიზიანება?.. რას ნიშნავს კარასინის დაგვიანებული რეაქცია თინა ხიდაშელის რამდენიმე თვის წინ გაკეთებულ განცხადებაზე, — რუსეთისთვის სანქციები სულერთია, რადგან ეს ხალხი მიჩვეულია 9 თვე ძაღლებისა და კატების ჭამასო, რაც კარასინმა ანტირუსულ რიტორიკად მონათლა. რას უნდა ველოდოთ რუსეთის მხრიდან?**

– ხიდაშელმა ეს განცხადება გააკეთა კარგა ხნის წინ, მაგრამ ამ განცხადების გახსენება რუსეთს იმიტომ დასჭირდა, რომ საქართველოს აქტიურობამ ნატოსთან მიმართებაში გარკვეული ფორმები მიიღო. ჩერნოგორიის ნატოში მიწვევამ ძალიან გააღიზიანა რუსეთი. რუსეთი ჩერნოგორიის ხელმძღვანელობაზე გაუსაძლის ზეწოლას ახდენდა, რუსეთის ელჩი ჩერნოგორიის პრეზიდენტთან მივიდა და უთხრა, იმ შემთხვევაში, თუკი ნატოსკენ გადადგამდნენ ნაბიჯს, მაშინ ისინი ამხელდნენ კორუფციის სკანდალში და გამოიყენებდნენ ძალიან სერიოზულ შეტევას. ამაზე ჩერნოგორიის პრეზიდენტმა უპასუხა, – რაც გინდათ, ის გააკეთეთ, ამ ნაბიჯს მაინც გადავდგამო. მოკლედ, რუსეთს ისიც კი არ აწყობს, რომ მისგან ძალიან შორს მდებარე ჩერნოგორია შესულიყო ნატოში. ჩერნოგორიის გამო ასე ნერვიულობენ რუსები და საქართველოს გამო რა მოხდება, ხომ წარმოგიდგენიათ. ამიტომ თინა ხიდაშელის ეს ნათქვამი კი არ არის მთავარი, მთავარია ის, რომ რუსეთმა აჩვენა თავისი დამოკიდებულება კიდევ ერთხელ საქართველოს ნატოში გაწევრიანების შესახებ და გააფრთხილა საქართველოს ხელისუფლება.

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## „ე.წ. კორტების საქმეზე მსჯავრდადებულებისთვის დანიშნული სასჯელი ზედმეტად მსუბუქია“ — პროკურორი



პროკურორი ამირან გულუაშვილი ე.წ. კორტების საქმესთან დაკავშირებით განმარტებას აკეთებს და აცხადებს, რომ მსჯავრდადებულებისთვის დანიშნული სასჯელი ზედმეტად მსუბუქია. ამირან გულუაშვილის თქმით, ბრალდების მხარეს მიაჩნია, რომ აღნიშნულ საქმეზე სასამართლოს მიერ ბრალდებულთათვის დანიშნული სასჯელი სრულად არ ასახავს მათ მიერ ჩადენილ ქმედებას.

– ე.წ. კორტების სპეცოპერაციის საქმესთან დაკავშირებით მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილის 2015 წლის 30 ოქტომბრის განაჩენით ბრალდებულები ირაკლი ფირცხალავა და გიორგი ცააძე უდანაშაულოდ იქნენ ცნობილნი მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის ეპიზოდში წარდგენილ ბრალდებაში. ამასთანავე, გიორგი ცააძეს დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობის ბრალდებიდან ამოერიცხა 109-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი – მკვლელობა ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. ბრალდებულ კახაბერ ნაკანის ქმედება დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობიდან გადაკვალიფიცირდა ძალადობით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაზე. ამასთანავე, ბრალდების მხარეს მიგვაჩნია, რომ სასამართლოს მიერ ბრალდებულთათვის დანიშნული სასჯელი სრულად არ ასახავს მათ მიერ ჩადენილ ქმედებას და მათ პიროვნებებს, რის გამოც ის ზედმეტად მსუბუქია. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, ბრალდების მხარის მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებულ იქნა მოსამართლის განაჩენი, – აცხადებს საქმის პროკურორი. (ნიუპოსტი)

## კიმ ჩენ ინის თქმით, ჩრდილოეთ კორეას წყალბადის ბომბი აქვს



ჩრდილოეთ კორეის ლიდერის კიმ ჩენ ინის განცხადებით, მან ქვეყანა ბირთვული იარაღის მფლობელ ძლიერ სახელმწიფოდ აქცია. კიმ ჩენ ინის თქმით, თერმობირთვულ (წყალბადის) ბომბზე მუშაობა უკვე დასრულებულია.

– ჩვენმა ქვეყანამ შეძლო, ძლიერ ბირთვულ სახელმწიფოდ გადაქცეულიყო, რომელიც მზადაა, საკუთარი სუვერენიტეტის დასაცავად, ნებისმიერ დროს გამოიყენოს ატომური და თერმობირთვული (წყალბადის) ბომბი.

როგორც „ბიბისი“ აღნიშნავს, ოფიციალური დასტური იმის შესახებ, რომ ჩრდილოეთ კორეა თერმობირთვულ იარაღს ფლობს, ჯერჯერობით არ არსებობს. (ნიუპოსტი)

## მთლად ასე დარწმუნებული ნუ იქნებით, პატივცემულო ნუკრი, რომ „ოცნება“ ხელისუფლებაში დარჩება! „ნაცებს“ კი „ბლატაობის“ საშუალება თქვენი გუნდის უუნარობამ მისცა!







– სერგო, გენაცვალე, მანამ არაფერი გეტკინოს, სანამ თქვენ მოხვალთ ხელისუფლებაში და ჩვენ წავალთ ხელისუფლებიდან, – აღნიშნული განცხადება დეპუტატმა ნუკრი ქანთარიამ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე უმცირესობის წევრის სერგო რატიანის საპასუხოდ გააკეთა.

ქანთარიამ „ნაციონალურ მოძრაობას“ მიულოცა, რომ მიხეილ სააკაშვილმა არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობა, არამედ პარტიის თავმჯდომარეობაც დატოვა.

– მინდა, მოლოცვით დავიწყო, მეგობრებო! მინდა, გულწრფელად, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე მივულოცო „ნაციონალურ მოძრაობას“, რომ მათმა ხელმძღვანელმა, ყოფილმა ბელადმა არა მხოლოდ მოქალაქეობა, არამედ „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის თანამდებობა დატოვა. ამით, რასაკვირველია, გარკვეული თავისუფლება მოგეცათ.

ჩვენ ადრეც ვამბობდით, ძალიან რბილად მინდა ვთქვა, რომ ეს კაცი განსხვავებულ ფსიქიკას წარმოადგენდა, თუმცა თქვენ უფრო ადეკვატური შეფასება მიეცით მას. ასევე, ვამბობდით ადრეც, რომ მას არ სჭირდება თანამოაზრეები, სჭირდება მხოლოდ მონები და ამაშიც დაგვიდასტურეთ და ესეც კარგია. იმასაც ვამბობდით, რომ ეს ადამიანი სხვასთან იყო პირმოთნე და თქვენთან ბაქიბუქობდა. კარგია, რომ ამასაც თქვენ ამტკიცებთ. ახლა საჭიროა, თავისუფლება გამოიყენოთ კარგად. შეეცადოთ, ამ თავისუფლების ხიბლი გაიგოთ, – მიმართა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს ნუკრი ქანთარიამ. (ინტერპრესნიუსი)

**ერიჰააა! ანუ მთავარი მიშას მოქალაქეობა იყო, პარტიის თავმჯდომარეობა, დანარჩენი „ნაცები“ უფრთო ანგელოზები იყვნენ, არიან და ახლა აფრები აუშვან, მისაღები იქნება პირადად თქვენთვის, ნუკრი ბატონო და ზოგადად, „ქართული ოცნებისთვის“?!**

**პრინციპში, მაგათი პარპაში რომ მიუღებელი ყოფილიყო, კი იზამდით რამეს, კი შეასრულებდით დაპირებებს, მაგრამ ასე რომ გექნათ, მერე საკუთარი გუნდიდან ზოგიერთების დანაშაულებს როგორ „გაასპრავებდით“? ახლა კი ისევ გაქვთ „არგუმენტი“, — აი, თქვენ რომ 9 წელი მამაძაღლობდით, ჩვენ ისე როდის ვმამაძაღლობთო?!**

**მოკლედ, ბატონო ნუკრი, ნუ იქნებით ასე დარწმუნებული, რომ „ქართული ოცნება“ ისევ დარჩება ხელისუფლებაში, ამის არანაირი პირობა და გარანტია აღარ გაქვთ. რაც შეეხება „ნაცმოძრაობას“, ისინი რომ თავზე ასხედან ისევ ქვეყანას, სწორედ „ქართული ოცნების“ უუნარობის ბრალია!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი...

## თელავში მომხდარ მკვლელობაში ბრალდებული დააკავეს, მისმა შვილმა კი თავი ჩამოიხრჩო




შსს-ს თელავის რაიონული სამმართველოსა და კახეთის საოლქო პროკურატურის თანამშრომლებმა ცხელ კვალზე ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1951 წელს დაბადებული გიორგი ნ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით თელავში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ გიორგი ნ.-მ თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურში ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, დანის გამოყენებით მოკლა 1990 წელს დაბადებული ბექა ჯ., ხოლო მისმა შვილმა – 1983 წელს დაბადებულმა ალექსი ნ.-მ, ასევე, დანის გამოყენებით სხეულის დაზიანება მიაყენა 1988 წელს დაბადებულ ლევან ჩ.-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ლევან ჩ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

სამართალდამცველებმა გიორგი ნ. მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს, ხოლო ალექსი ნ., ასევე, მომხდარიდან რამდენიმე საათის შემდეგ, ყვარლის რაიონის სოფელ შაქრიანის მიმდებარე ტერიტორიაზე მწყემსმა ხეზე ჩამომხრჩვალი იპოვა. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის ორივე იარაღი – დანები ნივთმტკიცებად ამოიღო. (ნიუპოსტი)

# „ლიბერთი ბანკსა“ და „პროკრედიტ ბანკს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა




„პროკრედიტ ბანკის“ სათავო ოფისში ორ ბანკს შორის ურთიერთთანამშრომლობის აქტს მოეწერა ხელი, რომლის მიხედვითაც ორი ბანკი ერთმანეთს ე.წ. **Host to Host** კავშირით დაუკავშირდა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში პლასტიკური ბარათის მფლობელები „ლიბერთი ბანკისა“ და „პროკრედიტ ბანკის“ ბანკომატებიდან თანხის განაღდებას შეღავათიანი ტარიფებით შეძლებენ.

სს „ლიბერთი ბანკისა“ და სს „პროკრედიტ ბანკის“ ბანკომატების ჯამური რაოდენობა 500-ზე მეტია და შესაბამისად, მომხმარებლებისთვის თანხის განაღდება კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახდება.

„პროკრედიტ ბანკის“ **VISA/Master Card** და **VISA Business** ბარათების მფლობელები თანხის განაღდებას „ლიბერთი ბანკის“ ბანკომატებში „პროკრედიტ ბანკში“ მოქმედი ტარიფით შეძლებენ, ხოლო „ლიბერთი ბანკის“ მომხმარებლები „პროკრედიტ ბანკის“ პოს ტერმინალებში **VISA/Master Card** ბარათის გარდა ანგარიშსწორებას ახლა უკვე **PAY/UPI** სისტემის ბარათებითაც შეძლებენ. **PAY** არის „ლიბერთი ბანკის“ ადგილობრივი საგადამხდელო სისტემა, რომლის პლატფორმაზეც შექმნილია 1,6 მილიონზე მეტი ბარათი.

– მოხარული ვართ, რომ „პროკრედიტ ბანკსა“ და „ლიბერთი ბანკს“ შორის მომხმარებლებისთვის სასიამოვნო თანამშრომლობა შედგა. დღეიდან, ორივე ბანკის კლიენტები თანხის განაღდებას კიდევ უფრო მეტი ბანკომატიდან შეძლებენ და ამასთანავე, ტარიფი რჩება უცვლელი, – აღნიშნა „პროკრედიტ ბანკის“ დირექტორმა ალექსი მატუამ.

– „ლიბერთი ბანკმა“ უკვე მესამე კომერციულ ბანკთან გააფორმა **Host to Host** ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მომხმარებელს აქვს თანხის განაღდებისა და ბარათით გადახდის კიდევ უფრო ხელსაყრელი პირობები და მრავალფეროვანი არჩევანი, – აღნიშნა დავით ნინიძემ, „ლიბერთი ბანკის“ ალტერნატიული საბანკო არხების მენეჯერმა.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „კარგი იქნებოდა, რეაგირება ყოფილიყო მაშინვე და არა ერთი წლის დაგვიანებით“ — ზეწოლა შეწყალების კომისიაზე



სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი აცხადებს, რომ ის შეწყალების კომისიაში შესაძლო ზეწოლის ფაქტებთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობდა. როგორც უჩა ნანუაშვილმა საკითხის კომენტირებისას განაცხადა, მასზე რაიმე ტიპის ზეწოლის ფაქტები არ მომხდარა. უჩა ნანუაშვილის თქმით, ის ალეკო ელისაშვილის განცხადების საფუძველზე დაწყებულ გამოძიებას თვალს მიადევნებს.

– თუკი ზეწოლას ჰქონდა ადგილი კომისიის წევრებზე, მე მხოლოდ ახლა გავიგე ამის შესახებ. პირადად ჩემ მიმართ არანაირ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია. ზოგადად, კარგი იქნებოდა, რეაგირება ყოფილიყო მაშინვე, როდესაც ასეთი ფაქტის შესახებ ინფორმაცია გახდა ცნობილი და არა ერთი წლის დაგვიანებით, როდესაც უკვე შესაძლოა, რთული იყოს საქმის გამოძიება. თუმცა, რა თქმა უნდა, გამოძიება აუცილებლად უნდა მოხდეს და დადგინდეს სიმართლე. პირადად ამ საქმეზე ალეკო ელისაშვილთან საუბარი არ მქონია. მე ორმაგად ვარ დაინტერესებული, როგორც სახალხო დამცველი და როგორც შეწყალების კომისიის წევრი და ჩვენ მივადევნებთ თვალს გამოძიების მიმდინარეობას, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა. (პირველი რადიო)

## პატრიარქ კირილს პუტინზე ლოცვის დამტკიცებას სთხოვენ



საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ეროვნული კომიტეტი+60“-ის აქტივისტებმა წმინდა სინოდის სხდომაზე მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილს მიმართეს, დაემტკიცებინა „პუტინის ლოცვა“.

„ეროვნული კომიტეტი+60“-ის წევრები დარწმუნებულნი არიან, რომ რუსეთის პრეზიდენტის ლოცვა ზუსტად ის სულიერი მხარდაჭერა იქნება, რომელიც მართლმადიდებელ ადამიანს უკიდურესად სჭირდება. ლოცვის ტექსტი პირველი აბზაცი ასე გამოიყურება:

„თქვენ, ნეტარო ვლადიმერ, ვინც გაბედავს, აიმაღლოს ხმა, განმწინდე იგი ყველა ბოროტებისგან“. (პირველი რადიო)

## იაშვილის კლინიკაში მენინგიტის დიაგნოზით ორი ბავშვი მკურნალობს — სკოლაში სწავლა შეჩერდა

მარიკა არღვლიანი
551 81-55-88



ბაქტერიული მენინგიტის დიაგნოზით იაშვილის სახელობის ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში ორი ბავშვია მოთავსებული. 2 და 11 წლის პაციენტების მდგომარეობა სტაბილურია და მათ ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. პარალელურად, 23-ე სკოლაში, რომელშიც ერთ-ერთი ბავშვი სწავლობს, სადეზინფექციო სამუშაოები ჩატარდა. ამ ფაქტის გამო სწავლა კონკრეტულ კლასში ერთი დღით შეწყდა. სკოლის ადმინისტრაციის ინფორმაციით, სხვა შეფერხებები სასწავლებელში არ ყოფილა. (kvira.ge)

### არსებობს თუ არა ინფექციის მასობრივად გავრცელების საშიშროება?







**ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ „ალია“ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე პაატა იმნაძეს დაუკავშირდა:**

– ზამთრის თვეებში სხვადასხვა ფორმით გამოვლენილი მენინგიტის შემთხვევები ხშირია, თუმცა პანიკის საფუძველი არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ წელიწადში ბაქტერიული მენინგიტის 100-120 შემთხვევა ფიქსირდება. აქედან დაახლოებით 30 პროცენტი ბავშვია, დანარჩენი ზრდასრულები არიან.

**— ბატონო პაატა, რამდენად სახიფათოა ის ბაქტერიული მენინგიტი, რომელიც ამ ბავშვებს აღმოაჩნდათ?**

– ვისაც მენინგიტი ბოლო კვირის მანძილზე აღმოაჩნდა, ყველას მდგომარეობა სტაბილურია. სინამდვილეში ეს არის ბაქტერიული დაავადება, რომელიც გართულების შემთხვევაში იქცევა მენინგიტად. ანუ თავდაპირველად ეს, როგორც მენინგიტი, ვერ გადაედება. საქართველოში რამდენიმე წელია, დაიწყო ზოგიერთ ბაქტერიულ მენინგიტზე ვაქცინაცია. ამიტომაცაა, რომ 5 წლამდე ასაკის ბავშვებში ბაქტერიული მენინგიტის ბევრად ნაკლები შემთხვევაა, ვიდრე მოზარდებში.

**— როგორ ვრცელდება ბაქტერიული მენინგიტი?**

– ყველა ბაქტერიული მენინგიტი წვეთოვანი გზით ვრცელდება.

**— მშობლებმა რომ დროულად მიმართონ ექიმს, გვითხარით, რა სიმპტომებით ხასიათდება ეს დაავადება?**

– თუ ბავშვს აქვს ძლიერი თავის ტკივილი და სიცხე, რომელიც ახასიათებს სწორედ ბაქტერიულ მენინგიტს, მშობელმა დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს ექიმს, რათა ბავშვს დროული მკურნალობა ჩაუტარდეს. რაც შეეხება ამ კონკრეტულ შემთხვევას, ვიმეორებ, პანიკის საფუძველი არ არსებობს.

## „მედიკამენტების ხარისხის კონტროლისკენ გადადგმული ყველა ნაბიჯი მისასალმებელია...“

აბაშის მაჟორიტარი დეპუტატი, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – რეგიონების“ მდივანი **დავით დარცმელიძე** ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ საუბრობს.



**„ყველა ოჯახი მეტ-ნაკლებად მოიხმარს მედიკამენტებს. ერთი წლის განმავლობაში მედიკამენტებზე ფასებმა საკმაოდ აიწია. ლარის გაუფასურებასთან ეს კიდევ შესამჩნევი გახდა. ამ შემთხვევაში მედიკამენტების გაძვირებას ვერ მივაწერთ და დავაბრალებთ ბაზარზე შექმნილ მონოპოლიას. უპირველესად, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ლარის კურსის დარეგულირებაზე, რაც ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების წინაპირობაა. ეს არის მიზეზი იმ პროცესებისა, რაც სხვადასხვა სფეროში მიმდინარეობს დღეს და მათ შორისაა მედიკამენტების გაძვირების პრობლემა. დღეს არა მხოლოდ მედიკამენტები, არამედ სხვა პროდუქციაც, განსაკუთრებით იმპორტირებული, საკმაოდ ძვირდება. ეს ყველაფერი მძიმე ტვირთად აწევს მოსახლეობას. ხელისუფლებასა და ჯანდაცვის სამინისტროს მეტი ყურადღება მართებთ მედიკამენტების ფასების დარეგულირების მიმართულებით“,** – ამბობს **დარცმელიძე**.

დავით დარცმელიძის აზრით, მედიკამენტების ხარისხის კონტროლისკენ გადადგმული ყველა ნაბიჯი მისასალმებელია.

**„რაც შეეხება მედიკამენტების ხარისხს, ვფიქრობ, ყველა ნაბიჯი, რაც გადადგმული იქნება მედიკამენტების ხარისხის გაუმჯობესებისკენ, ეს იქნება ჯანდაცვის სამინისტროს, თუ სხვა ნებისმიერი კომპეტენტური უწყების მხრიდან, ცალსახად მისასალმებელია. მნიშვნელოვანია მედიკამენტი იყოს ხარისხიანი. ერთია ფასი, რომელიც მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს და მეორეა ხარისხი, რომელიც აუცილებელია. ამიტომ, ამ მიმართულებით თუ რაიმე გაკეთდება, რა თქმა უნდა, მივესალმები“,** – მიაჩნია დეპუტატს.

**„ექიმები აქცენტს ძვირად ღირებულ მედიკამენტებზე აკეთებენ“** – ხშირად აცხადებენ პაციენტები. მედიკამენტების ხარისხის კონტროლზე, კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის პროექტების დირექტორი, ექსპერტი სოციალურ საკითხებში, ფიქრია ბრეგვაძე ექიმების კონკრეტული ფარმაცევტული კომპანიებისადმი დაინტერესებასაც არ გამორიცხავს:

**„არის შემთხვევები, როდესაც პაციენტს კონკრეტულ მედიკამენტს მიზანმიმართულად სთავაზობენ. არსებობს პრეპარატები, რომლებიც პენსიონერმა შესაძლოა, 5 ლარად იყიდოს, ამ დროს კი ექიმი მას მსგავსი ტიპის 4-5 ჯერ უფრო ძვირად ღირებულ წამალს უნიშნავს“.**

ამ ფონზე ფიქრია ბრეგვაძეს მიაჩნია, რომ ქვეყანაში მედიკამენტების ხარისხის მუდმივი მონიტორინგი უნდა ხორციელდებოდეს:

**„პერიოდულად უნდა მოხდეს ერთგვარი სელექცია, რომელსაც კერძო კომპანია შეასრულებს თუ სახელმწიფო დონეზე გადაწყდება, ეს უკვე ჯანდაცვის სამინისტროს პრეროგატივაა. არსებობს ძვირად ღირებული მედიკამენტები, რომლებშიც ადამიანები ფულს ხარჯავენ, მაგრამ არ აქვთ შედეგი. სწორედ ამ ტიპის საკითხებით უნდა დაინტერესდეს ჯანდაცვის სამინისტრო“.**

გარდაბნის მაჟორიტარი დეპუტატი **გიორგი ფეიქრიშვილი** ფარმაცევტულ ბაზარზე არსებულ მდგომარეობას გამოეხმაურა. დეპუტატი მედიკამენტების გაძვირებას ლარის კურსის დაცემას უკავშირებს და საზოგადოებაში უარყოფით განწყობას სწორედ ამ ფაქტს მიაწერს. ამასთანავე, მიაჩნია, რომ საკითხის დასარეგულირებლად გარკვეული ზომების მიღებაა საჭირო.

**„ჩემი აზრი ნამდვილად არ განსხვავდება საზოგადოების უმრავლესობის აზრისგან. დოლარის გაძვირება ყველაფრის ფასზე, მათ შორის მედიკამენტების, უარყოფითად მოქმედებს და ბუნებრივია, ამაზე ნეგატიური აზრი მაქვს. სახელმწიფომ ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს და მდგომარეობა, თუნდაც სუბსიდირებით, მაგრამ მაინც დაარეგულიროს“,** – ამბობს გიორგი ფეიქრიშვილი.

დეპუტატი ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებას, რომელიც მედიკამენტების ხარისხის კონტროლის გამკაცრებას გულისხმობს, და ინიციატივას დადებითად აფასებს:

**„მისასალმებელია ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გადადგმული ნაბიჯი, რომელიც მედიკამენტების ხარისხზე კონტროლის გამკაცრებას ითვალისწინებს. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან მოქალაქეებს შეეძლოთ, მხოლოდ მაღალხარისხიანი მედიკამენტების შეძენა“.**

# ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი: „ალეკოს პირადად როგორც წესიერ ადამიანს, ისე ვიცნობ და არა მგონია, რომ ეს რაღაც შეგნებული პროვოკაცია ან ტყუილი იყოს“





## თუ ეს ასეა, გამოდის, რომ ქვეყნის პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე და იმდროინდელი მთავარი პროკურორი დანაშაულში არიან მხილებული




ნინო ლაგარტყავა
571 99-92-33


**ალეკო ელისაშვილის მიერ გავრცელებული სკანდალური ინფორმაციის ირგვლივ ინტერესი არ ცხრება. მისი თქმით, პატიმრების შეწყალების სანაცვლოდ, პოლიტიკოსები შეწყალების კომისიის წევრებს ქრთამს სთავაზობდნენ. ელისაშვილი ამბობს, რომ თავის დროზე, ამ საკითხზე ინფორმაცია მიაწოდა მთავარ პროკურორ ბადაშვილს, მის მოადგილე გოგავას, პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს და იმჟამად დეპუტატს, დღევანდელ თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელს. თბილისის პროკურატურამ გამოძიება დაიწყო.**

**შეიძლება თუ არა დაკითხვაზე დაიბარონ პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე და ელისაშვილის მიერ დასახელებული სხვა მაღალჩინოსნები, ვინც წელიწად-ნახევრის წინ ამ ყველაფრის საქმის კურსში ჩააყენა? რა მუხლით აღიძვრება საქმე ელისაშვილის მიწოდებული ინფორმაციის დამტკიცების შემთხვევაში და რა სასჯელი ელით ამ პირებს?**

**„ალიას“ ადვოკატი, უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი ესაუბრა:**

– გამოძიება 339-ე პრიმა მუხლით უკვე დაწყებულია, რაც ზეგავლენით ვაჭრობას გულისხმობს **(სასჯელი იწყება ჯარიმით და ადის 2-წლიან პატიმრობამდე. – რედ.)**, შესაძლოა, გამოძიება ასევე დაიწყოს 332-ე, 332-ე მუხლებით, თუ გამოიკვეთა უფლებამოსილების გადამეტება, ან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება **(3-წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. – რედ).** ასე რომ, თუ დანაშაულის ნიშნები გამოიკვეთა, შესაბამისი მუხლიც გამოიძებნება, ეს პრობლემა არ არის. იმუნიტეტს რაც შეეხება, არც ის არის პრობლემა, ვთქვათ, შეიძლება ადამიანს წაუყენო ბრალი, თუ იქამდე მივიდა საკმარისი მტკიცებულებები და პარლამენტში მოითხოვო დეპუტატის იმუნიტეტის მოხსნა. იმუნიტეტი არ არის გადაულახავი ბარიერი, თუ მყარი მტკიცებულებები იქნება.

**— იმუნიტეტის მოსახსნელად რა შეიძლება ჩავთვალოთ მყარ მტკიცებულებად?**

– მაგალითად, კონკრეტული ბრალდება, რაც თავად ელისაშვილმა გააჟღერა. ეს არის სრულიად არასაკმარისი როგორც დაკავებისთვის, ასევე იმუნიტეტის მოხსნისთვის და საერთოდ, ბრალის წაყენებისთვის. კანონის მიხედვით, ბრალის წაყენებისთვის აუცილებელია დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი. შემდგომში ის უფრო მაღალ სტანდარტზე უნდა ავიდეს იმისთვის, რომ საქმემ წინასასამართლო სხდომა გაიაროს, მტკიცებულებები გადაეცეს სასამართლოს, მან ჩათვალოს, რომ აქ უკვე არის ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტი, რომ სასამართლოს არსებითი განხილვისთვის გადასცეს. ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტით კი, ალბათ, როდესაც სასამართლო გამოძიება დასრულდება, დადგინდება გამამტყუნებელი განაჩენი. საბოლოოდ, გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისთვის, საჭიროა მტკიცებულებების სტანდარტი, რომ ამა თუ იმ პირმა ნამდვილად ჩაიდინა დანაშაული და ობიექტურ, მიუკერძოებელ ადამიანში პრაქტიკულად, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ეს გამოკვეთილი მტკიცებულებები არის საკმარისი გამამტყუნებელი განაჩენისთვის. რა თქმა უნდა, ეს პირველი, მეორე, მესამე ეტაპიც საკმაო მტკიცებულებებს მოითხოვს, მაგრამ მოთხოვნები თანდათან უფრო მკაცრდება და რაც უფრო წინ მიდის საქმე განაჩენამდე, უფრო და უფრო მეტი მტკიცებულებები უნდა იყოს. ასე რომ, ბრალის წაყენებისთვის თუნდაც ალბათობის მაღალი ხარისხი რომ იყოს, ამისთვის მხოლოდ ის, რომ აი, ჩემთან ილაპარაკა თუნდაც თავად კონკრეტულმა მაღალჩინოსანმა (ან სხვა პირმა), რომ მე ფული მაქვს აღებული ამაშიო და შეწყალების კომისიის სიაში პატიმრის ჩასმის საკითხზე ისაუბრა მასთან, ეს არასაკმარისია, ეს რაღაც სხვა მტკიცებულებითაც უნდა დადასტურდეს.

**— ელისაშვილი ამბობს, რომ მას ტელეფონში კონკრეტული მაღალჩინოსნების მიერ მისთვის მიწერილი „მესიჯები“ აქვს შენახული. ეს არ შეიძლება პროკურატურამ ან სასამართლომ მტკიცებულებად მიიჩნიოს?**

– გააჩნია, მასში რა წერია. თუ წერენ, 200 ათასი ავიღე და კიდევ მილიონნახევარი უნდა ავიღოო, მაშინ ვფიქრობ, ეს დასაბუთებული ვარაუდისთვის სავსებით საკმარისია, მაგრამ თუ იქ წერია – მიდი, რა, ვიღაც პეტრე პავლიაშვილს მიაქციე ყურადღება, შესაწყალებელია, არ დაჩაგრო და გამონაკლისის წესი დაუშვიო, ეს არასაკმარისია, რადგან ეს პატიმარი შეიძლება იყოს იმ მაღალჩინოსნის ან ნათესავი, ან მეგობარი, ან სრულიად უცნობიც იყოს მისთვის, მაგრამ რახან დეპუტატი ან მინისტრია, პატიმრის ვიღაცამ მიაკითხა, უმტკიცა, რომ ეს ადამიანი უდანაშაულოა, დაჩაგრულია, ან უსამართლობის დროს ხელოვნურად მიუსაჯეს პატიმრობა. იმ მაღალჩინოსანმა კი დაიჯერა და შემდეგ მისწერა ელისაშვილს ამ პატიმარზე – ეს არავითარ კრიმინალს არ შეიცავს, ადამიანმა თავისი პოზიცია დააფიქსირა, სთხოვა და შემდეგ ელისაშვილის თუ შეწყალების კომისიის სხვა წევრის განსასაზღვრია, რას მიიღებს და გაიზიარებს, ან რას არ მიიღებს. ბუნებრივია, თხოვნისთვის და რეკომენდაციისთვის ადამიანს ვერ დასჯი და ვერ ეტყვი, შენ სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინეო.

**— მაღალჩინოსანი თხოვნის სახით რომ მიმართავს შეწყალების კომისიის თავმჯდომარეს ან კომისიის წევრს, კონკრეტული პატიმრის საქმეზე, ეს არ არის კომისიის საქმიანობაში ჩარევის მცდელობა, ან დავუშვათ, ზეწოლის მსუბუქი ფორმა?**

– არ არის. თხოვნა სხვა არის და მოთხოვნა – სხვა. ნებისმიერმა ადამიანმა შეიძლება სთხოვოს კომისიის წევრს, გააჩნია, ის რა გავლენის მქონეა. თუ ეს ადამიანი ბიძინა ივანიშვილია, ირაკლი ღარიბაშვილია, პარლამენტის თავმჯდომარეა, ან თავად პრეზიდენტია, რომელსაც შეუძლია, ზეგავლენა მოახდინოს და თუ არ შეუსრულებს თხოვნას, მაშინ რაღაც საწინააღმდეგო გააკეთოს, ეს სხვა ამბავია. თუ ამას რიგითი მინისტრი ან დეპუტატი სთხოვს, არანაირი ჩარევა არ არის, მით უმეტეს, იმ ადამიანმა შეიძლება თქვას, – ამა და ამ პატიმარმა სასჯელის ნახევარი უკვე მოიხადა და ყურადღებით შეისწავლეთ ეს საქმე და არ დაუკარგოთ სიმართლე ამ ადამიანს; ან შეიძლება არ მოიხადა სასჯელის ნახევარი და რაღაც განსაკუთრებული ოჯახური მდგომარეობა აქვს, ან უსამართლო განაჩენის გამო ზის და დაჩაგრესო. ათასი ნიუანსია და არანაირი კრიმინალი ამაში არ არის.

**— 339-ე პრიმა მუხლით გამოძიების დაწყება არის საკმარისი საიმისოდ, რომ პროკურატურისთვის დასახელებულ მაღალჩინოსნებს იმუნიტეტი მოეხსნათ, ან დაიკითხონ?**

– რა თქმა უნდა, თუმცა გამოძიება ვინმეს მიმართ კი არა, ფაქტზეა დაწყებული, რაც ელისაშვილმა განაცხადა და ის უნდა დადასტურდეს, ან არ დადასტურდეს. თუ დადასტურდება და ვინმეს მიმართ შეგროვდა ერთმანეთთან შეთანხმებული და უტყუარი მტკიცებულებები, რომ ნამდვილად არის აქ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი, ამ შემთხვევაში ბრალის წაყენებაც შეიძლება და რა თქმა უნდა, პარლამენტში იმუნიტეტის მოხსნის საკითხის დაყენებაც, თუ ის პარლამენტის წევრია.

**— ელისაშვილი ამბობს, ამ ყველაფრის შესახებ საქმის კურსში ჩავაყენე პრეზიდენტის ადმინისტრაცია, თავად პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე და ამჟამად თავდაცვის მინისტრიო. ჩვენ წელიწად-ნახევარია, არ გაგვიგია მათი მხრიდან რაიმე განცხადება ამ თემის ირგვლივ. იმ შემთხვევაში, თუ ელისაშვილმა მართლაც ჩააყენა ისინი საქმის კურსში, რამდენად შეიძლება ამ პირებს სამართლებრივად მოედავოს პროკურატურა? იქნებოდა ეს მათი მხრიდან გულგრილობა თუ დანაშაულის დაფარვა?**

– პირველ რიგში, ალბათ, ამ ადამიანებს და მოსახლეობასაც პრეტენზია ექნებათ ალეკო ელისაშვილთან, რომელმაც ეს ყველაფერი ზეპირად თქვა, რისი დამტკიცებაც ძნელია. თავის დროზე, მას პირადად უნდა დაეწერა განცხადება პროკურატურაში, რადგან მისი ნათქვამი დანაშაულის ნიშნების შემცველია და მას მოქალაქეობრივი ვალი იმით კი არ უნდა მოეხადა, რომ ეს ამბავი მოეყოლა, ოფიციალური დოკუმენტი უნდა შეექმნა. როგორც ვიცი, არც პრეზიდენტი, არც ხიდაშელი, არც უსუფაშვილი, არც მთავარი პროკურორი და მისი მოადგილე არ ადასტურებენ მასთან ამ თემაზე საუბარს. ელისაშვილის ნათქვამი თავის დროზე წერილობითი მიმართვა რომ ყოფილიყო, მაშინ ხომ ვერავინ უარყოფდა რამეს? აქ ასეთ სიტუაციასთან გვაქვს საქმე: თუ დადასტურდა, რომ ვიღაცამ დანაშაული დამალა, ეს უკვე თავისთავად დანაშაულია **(დანაშაულის დაფარვა ისჯება ჯარიმით, ან თავისუფლების აღკვეთით, ვადით 1-დან 3-წლამდე. – რედ).** თუ ვიღაცის მიმართ გამოძიება დაიწყო, ბრალი წარედგინა და შემდეგ ეს არ დადასტურდა, მას შეუძლია, ელისაშვილს მოუბრუნდეს, საჩივარი დაწეროს და მისი პასუხისგებაში მიცემა მოითხოვოს ცრუ დასმენის მუხლით. ამავე დროს, თუ დადასტურდა, რომ იმ ადამიანებმა იცოდნენ და არ განაცხადეს, მაშინ მათ მიმართ შეიძლება იყოს პრეტენზია, რომ დანაშაული დაფარეს. ასე რომ, სამართლებრივი თვალსაზრისით, საკმაოდ რთული სიტუაცია შეიქმნა. ფაქტობრივად, საზოგადოება უკვე ელოდება, რომ ვიღაცამ პასუხი აგოს და ეს მოლოდინი ლოგიკურია.

**— თუ ელისაშვილის მიერ ნათქვამი ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს, რომ თავის დროზე მან ეს ყველაფერი უთხრა პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს და ასე შემდეგ, ესე იგი, ისინი შეიძლება დაკითხვაზე დაიბარონ?**

– დიახ. თუმცა დაკითხვაზე დაბარება თავისთავად არაფერს ნიშნავს, – მათ რაც საჯაროდ განაცხადეს, ალბათ, დაკითხვაზეც იმას იტყვიან – ელისაშვილს ჩვენთვის ეს არ უთქვამსო და მორჩა, ამით ამოიწურება. თუ იქ მოწმეები იქნებიან, ვინც ამ საუბარს შეესწრო, ეს სხვა ამბავია. ალეკოს პირადად როგორც წესიერ ადამიანს, ისე ვიცნობ და არა მგონია, რომ ეს რაღაც შეგნებული პროვოკაცია ან ტყუილი იყოს (ანუ გამოდის, რომ პრეზიდენტი მარგველაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე უსუფაშვილი და იმდროინდელი მთავარი პროკურორი ბადაშვილი დანაშაულის დაფარვაში არიან მხილებულნი. – რედ.), უბრალოდ, მე მისი შეცდომა მგონია, რომ დოკუმენტურად არ დააფიქსირა და ვერ გათვალა, რომ შეიძლებოდა წელიწად-ნახევრის შემდეგ ასეთი განცხადება მის წინააღმდეგ შემობრუნებულიყო. ფორმალურად, პროკურატურამ ტელევიზიაშიც რომ მოჰკრას ყური რაღაც დანაშაულის შესახებ ინფორმაციას, ვალდებულია, გამოძიება დაიწყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში, პროკურატურა აცხადებს, არა, ბატონო, არაფერი გამიგიაო. მე მგონია, რომ ელისაშვილმა რაღაც ზერელედ შეხედა ამ ყველაფერს, არ ეგონა, რომ ასეთი გართულება მოჰყვებოდა, თან ემოციური, გულწრფელი ადამიანია და ამ კუთხით, ალბათ, გამოცდილებაც არ აქვს, რომ პროკურატურაში აუცილებლად ორ კითხვას დაუსვამდნენ: რატომ წერილობით არ დაწერე თავის დროზე და მეორე – წელიწად-ნახევარი რას აკეთებდი, რატომ არ მიჰყევი ამ საქმეს და საჯაროდ რატომ არ განაცხადეო? ან თუნდაც, დღეს რატომ არ აცხადებს საჯაროდ იმ ადამიანების ვინაობას? მე მგონია, რომ ელისაშვილის ნათქვამის დამტკიცება ძალიან ძნელი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ შინაგანად მჯერა, რომ ასეთი რაღაც იქნებოდა. ნებისმიერ დემოკრატიულ საზოგადოებაში შეიძლება ეს მოხდეს, რომ ჩვეულებრივი თხოვნით მიმართონ მაღალჩინოსნებმა შეწყალების კომისიის წევრს, ან ეს თხოვნა ანგარებითაც იყოს. ამას ვერავინ გამორიცხავს, მით უმეტეს, ჩვენნაირ საზოგადოებაში.

**— როგორ ფიქრობთ, რა იქნება ამ ყველაფრის შედეგი? რით დასრულდება?**

– მე ვფიქრობ, იმდენად რთულია ამ ყველაფრის დამტკიცება, რომ, თუ კონკრეტული მოწმე არ გამოვიდა და არ თქვა, – კი, მე ავიღე ფული, ან მე მივეცი ფული... ჩემი გამოცდილებიდან ვიცი, რომ ასეთი საქმეების გახსნა ძალიან რთული და თითქმის შეუძლებელია, არავინ არ გამოვა და არ იტყვის, – კი, ბატონო, დავაშავე, ან დაშავებას ვაპირებდი და მაპატიეთო. აქედან გამომდინარე, მე ვერ ვხედავ პერსპექტივას, რომ ამ საქმიდან რამე გამოვიდეს და ვინმეს პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს.

**— ალეკო ელისაშვილს არ შეიძლება, დაემუქროს სამართლებრივად რამე, თუ ის ვერ დაამტკიცებს თავის ნათქვამს, რომელიც საკმაოდ მძიმე ბრალდებებს შეიცავს?**

– თუ ის პიროვნება (ან პიროვნებები), რომელიც მან პროკურატურაში დაასახელა, გავლენიანები არიან და ვერდამტკიცების შემთხვევაში, ცრუ დასმენისთვის შეუბრუნებენ საქმეს, სავსებით შესაძლებელია, რომ ცრუ დასმენის გამო ალეკოს გარკვეული პასუხისგებაა მოსთხოვონ. ცრუ დასმენა კი სამ წლამდე ციხეს ითვალისწინებს, მაგრამ იმედია, აქამდე საქმე არ მივა.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ოკუპირებულ აფხაზეთში ქართველებისთვის პასპორტების დარიგების გამო საქმე აღიძრა




ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პროკურატურამ აფხაზური პასპორტების უკანონო გაცემის გამო, ტყვარჩელის რაიონის თანამდებობის პირთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. საუბარია პასპორტების გაცემაზე 2009-2013 წლებში, რა დროსაც, ე.წ. პროკურატურის ინფორმაციით, „ტყვარჩელის რაიონის თანამდებობის პირებმა აფხაზეთის კანონმდებლობა დაარღვიეს“.

„სისხლის სამართლის საქმე პასპორტების უკანონოდ გაცემის მუხლით აღიძრა, რაც 2-დან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთას და თანამდებობის დაკავების აკრძალვას 1-დან 3 წლამდე ითვალისწინებს“, – განაცხადეს ე.წ. გენერალურ პროკურატურაში.

ამ ინფორმაციის მიხედვით, აფხაზური პასპორტები უკანონოდ საქართველოს მოქალაქეებს გადასცეს. (kvira.ge)

## არქიმანდრიტი ანთიმოზი პატრიარქის საჩუქარმა განკურნა



არქიმანდრიტი ანთიმოზ ბიჩინაშვილი სოციალურ ქსელში სტატუსს აქვეყნებს. ის მისი და პატრიარქის შეხვედრის შესახებ წერს:

„სამი თვის წინ, უწმინდესი გიბარებსო. მივედი საპატრიარქოში საღამოს ლოცვაზე. სტუმრები იყვნენ. მორჩა ლოცვა. ყველას ესაუბრა, მოეფერა. გახდა 11 საათი. უწმინდესი საძინებელში აბრძანდა. დაცვის ბიჭებმა მითხრეს, შედიო. საძინებლის წინ მისაღები აქვს. ფეხები უკან მრჩება, მერიდება. უწმინდესს 87-დან ვიცნობ, მის სიახლოვეს ყოველთვის ენა მივარდება.

მესაუბრა, მომეფერა. მერე მაკურთხა, ოპერაცია არ გაიკეთოო! ანუ მარჯვენა მუხლში ხელოვნური სახსრები არ ჩაიდგა, ჯერ ახალგაზრდა ხარ და იმკურნალეო. მერე აბრძანდა და საძინებელში გავიდა.

ორ წუთში გამოდის და ფეხსაცმელი მოაქვს. მეუბნება: სულ ორჯერ მეცვაო და მჩუქნის.

დავვარდი მუხლებზე, ამიტყდა ტირილი, ხელზე ვკოცნი და ვეუბნები: მადლობა, თქვენო უწმინდესობავ! ამ ფეხსაცმელს არასდროს გავიხდი-მეთქი. ღიმილით მპასუხობს: არა, არა, ღამე გაიხადეო....

რაც ის ფეხსაცმელი ჩავიცვი, მუხლი ჯერ ისე არ გამსიებია, რომ სიარული არ შემეძლოს!“, – წერს არქიმანდრიტი ანთიმოზი. (kvira.ge)

## ბარაკ ობამამ წლის საყვარელი სიმღერა დაასახელა

ჟურნალ **PEOPLE**-თან ინტერვიუში ობამამ წლის საყვარელ სიმღერად ამერიკელი რეპერის კენდრიკ ლამარის „**How Much a Dollar Cost**“ აღიარა, რომელმაც ამ წელს „გრემიც“ კი აიღო. მისი მეუღლისთვის კი წლის საყვარელი სიმღერა მარკ რონსონისა და ბრუნო მარსის „**Uptown Funk**“ აღმოჩნდა.

წლის საყვარელ წიგნად აშშ-ის პრეზიდენტმა ამერიკელი მწერლის ლორენ გროფის **Fates and Furies** დასახელა, პირველმა ლედიმ კი ელიზაბეტ ალექსანდრას **The Light of the World**.

რაც შეეხება ფილმებს, ბარაკ ობამას 2015 წელს ყველაზე მეტად „მარსელი“ მოეწონა, მიშელ ობამა კი აღფრთოვანებული მულტფილმ „გამოცანებით“ დარჩა. (ნიუპოსტი)



## გიგი დედალამაზიშვილი მამა გახდა



ჯგუფ „მგზავრების“ სოლისტი, გიგი დედალამაზიშვილი მამა გახდა. პატარას ლიზა დაარქვეს. მის დაბადებას მომავალი მშობლები მთელი 5 წელი ელოდნენ. რამდენიმე დღის წინ გიგიმ და მარინამ ქორწინების 5 წლისთავი აღნიშნეს და აი, პატარა ლიზას მშობლებიც გახდნენ. მარინას საკეისრო კვეთა ჩაუტარდა, რომელსაც გიგიც ესწრებოდა.

– ძალიან გახარებულები ვართ. ლიზა ძალიან საყვარელი და კარგი გოგოა. მამიდა გავხდი, რაც ძალიან მიხარია. 5 დეკემბერს, 5 წელი შეუსრულდათ, რაც იქორწინეს და აი, ასეთი საჩუქარი გაუკეთა მარინამ გიგის. მადლობა ყველას მილოცვისთვის, ტელეფონი არ ჩერდება, – ამბობს ნინი დედალამაზიშვილი. (ნიუპოსტი)

# განხორციელების რა ეტაპზეა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა? რა გაკეთდა? რა რა იგეგმება სქემის ფარგლებში?

მიმდინარე წლის დასაწყისში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ მედიას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ახალი სქემა წარუდგინა. სქემა სპეციალურმა სახელმწიფო კომისიამ შეიმუშავა, რომელიც საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა ერთიანი სისტემაა, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილია პედაგოგის მომზადება პროფესიისთვის და მისი შემდგომი პროფესიული განვითარება. დოკუმენტში ასახულია, როგორი უნდა იყოს საუნივერსიტეტო პროგრამა, პროფესიაში შესვლის გზები და როგორ უნდა შევუწყოთ ხელი პედაგოგს კარიერულ წინსვლაში.

როგორც უწყებაში განმარტავენ, მანამდე მოქმედი სერტიფიცირების მოდელის ძირითად ხარვეზს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ მოდელი იყო არასისტემური და მასწავლებლის შეფასება ხდებოდა მხოლოდ საგამოცდო ფორმატში, არ იყო ორიენტირებული მასწავლებლის განვითარებაზე და სრულად ვერ ასახავდა მასწავლებლის საქმიანობას და მის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

– მასწავლებლის შეფასების ახალი სისტემა იძლევა საშუალებას, სისტემა იყოს საქმის კურსში, რამდენად ეფექტურად იყენებს პედაგოგი მის ცოდნასა და უნარ-ჩვევებს პრაქტიკაში და რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მოსწავლის შედეგები გაუმჯობესდეს. 2015-2016 წლებში სქემა იმუშავებს საპილოტე რეჟიმში. ახალი სქემის ამოქმედების საფუძველზე, მოსწავლის სასწავლო შედეგები გაუმჯობესდება, მივიღებთ გაძლიერებულ და გადამზადებულ პედაგოგთა კორპუსს. მოხდება სისტემაში თავიდანვე კვალიფიციური კადრის შედინება, – აღნიშნავენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

**განხორციელების რა ეტაპზეა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა? რა გაკეთდა? რა რა იგეგმება სქემის ფარგლებში?**

**საუბრობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტი მანანა რატიანი:**

– მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში უკვე მომზადდა ელექტრონული მართვის სისტემა. სქემა მთლიანობაში არ იმართება ფურცლებიდან, არსებობს ელექტრონული სისტემა, რაც გულისხმობს იმას, რომ მასწავლებელს აქვს თავისი პროფილი ელექტრონულ სისტემაში და მთელი ინფორმაცია მასწავლებლისა და მისი საქმიანობის შესახებ... ასევე, თვითშეფასება ხელმისაწვდომი იქნება ელექტრონულად. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი, იმდენად, რამდენადაც ეს სკოლებს დაეხმარება მონიტორინგის პროცესში. ასევე, ეს დაეხმარება ჩვენს ცენტრსაც.

**— მონიტორინგში რას გულისხმობთ?**

– მონიტორინგში ვგულისხმობთ შემდეგს: მონიტორინგის ეს სისტემა ძირეულად ცვლის დამოკიდებულებას მონიტორინგისადმი, იმიტომ, რომ ეს არ არის დასჯაზე ორიენტირებული მონიტორინგი. ეს იქნება საჭიროებების გამოვლენაზე და სკოლების შეფასების ჯგუფების დახმარებაზე ორიენტირებული სამუშაო ჯგუფი.

შეფასების ჯგუფი ვახსენე – უკვე დასრულებულია მასწავლებელთა შეფასების ჯგუფების ფორმირება. ამ შაბათ-კვირას დასრულდება ფასილიტატორთა გადამზადების პირველი ეტაპი. პირველ ეტაპში შემდეგ რამეს ვგულისხმობთ – ფასილიტატორებს ერთდროულად არ მივაწოდეთ ის სრული ცოდნა, რაც მათ სჭირდებათ სქემის ფარგლებში. ამას ვერც გავაკეთებდით, იმიტომ, რომ მათ ეტაპობრივად, მუდმივად დასჭირდებათ პროფესიული განვითარება. რაც, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი იყო და სქემის ერთ-ერთ საკვანძო ნაწილს წარმოადგენს. ჩვენი სურვილია, რომ გადამზადდნენ შეფასების ჯგუფები და სკოლები გაძლიერდნენ.

შეფასების ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობს არამხოლოდ სკოლის ადმინისტრაციული ნაწილი, ანუ დირექტორი და სასწავლო ნაწილი, არამედ არჩეული წევრებიც.

**— ვინ არიან არჩეული წევრები?**

– არჩეული წევრები არიან კათედრის წარმომადგენლები. მოგეხსენებათ, სკოლებში ჩამოყალიბებულია საგნობრივი კათედრები და ამავდროულად ფასილიტატორები. ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მასწავლებლები როდესაც თავად ირჩევენ შეფასების ჯგუფის წარმომადგენლებს, ეს ზრდის შეფასების ჯგუფისადმი ნდობას და ამ შეფასების ჯგუფების მუშაობა ბევრად უფრო აღიარებული იქნება მასწავლებელთა მხრიდან.

**— რაც შეეხება თვითშეფასებას — ხშირად გამხდარა ეს საკითხი კრიტიკის საგანი. ბევრისთვის, მათ შორის, რიგი პედაგოგებისთვისაც კი გაუგებარია, რისთვისაა საჭირო ეს ყველაფერი.**

– ადამიანი თავის პროფესიაში თუ არ ვითარდება, ეს მას ხელს შეუშლის და თავის საქმიანობაში ვერ იქნება კომპეტენტური. შესაძლებელი იყო, თვითშეფასება ყოფილიყო არა ამ სახის, არამედ სხვა ტიპის, მაგრამ თვითშეფასება აუცილებელია, რათა ადამიანმა საკუთარ თავში აღმოაჩინო ძლიერი და სუსტი მხარეები. თუ საკუთარ თავში არ ეძებე, რა ხარვეზები გაქვს პროფესიულ დონეზე, მაშინ შეუძლებელი იქნება, სწორად დაგეგმო შენი პროფესიული განვითარება. თვითშეფასების კითხვარი მოიცავს მასწავლებლის პროფესიის ყველა ასპექტს – დაწყებული იმით, როგორი გარემო უნდა შექმნას, როგორ უნდა დაგეგმოს სწავლების პროცესი, როგორ უნდა მოახერხოს მოსწავლის შეფასება, როგორ უნდა ჩართოს თითოეული მოსწავლე, რომ ეს ყველაფერი მორგებული იყოს თითოეულ ინდივიდზე, ორიენტირებული იყოს სასწავლო პროცესზე. დასმულია 100-ზე მეტი კითხვა, რომელიც მოთავსებულია ელექტრონულ სისტემაში და თითოეულ ამ კითხვარს აქვს ოთხდონიანი შეფასების სისტემა.



**— ბევრ პედაგოგს აქვს იმის შიში, რომ, თუ ისინი დაბალი ქულით შეაფასებენ საკუთარ თავს, მას გაუშვებენ სკოლიდან, ან რამე სადამსჯელო ნაბიჯები მოჰყვება ამ ყველაფერს. რეალურად რა ხდება?**

– ეს ასე არ არის, ეს თვითშეფასების დოკუმენტი მხოლოდ და მხოლოდ დამხმარე იქნება პედაგოგისთვის, რათა მან სწორად დაგეგმოს თავისი პროფესიული საქმიანობა, რაც შემდეგ დონის ამაღლებაშიც დაეხმარება, რაც აისახება მისი ხელფასის მატებაზეც. თვითშეფასების კითხვარი არის სავალდებულო, ის კრედიტქულებით არ ფასდება და ამდენად, მასწავლებელი გულწრფელი უნდა იყოს შეფასებისას, რომ მას კითხვარმა შემდეგ დახმარება გაუწიოს.

ამ ეტაპზე, თვითშეფასების კითხვართან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა დაეხმარონ მასწავლებლებს – არა მხოლოდ თვითშეფასების კითხვარის შევსებაში, არამედ შემდგომ ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებაში – ყველა ფასილიტატორს, რომლებიც სკოლების მიერ არიან არჩეულები, ჩაუტარდა გადამზადება და მხოლოდ სამი ჯგუფი გვყავს დარჩენილი, რომლებიც შაბათ-კვირას გადამზადდებიან.

გარდა ამისა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში გზამკვლევის მეორე ნაწილი მზადდება, რომელშიც ყველა დოკუმენტაცია აისახება, სტანდარტიზებული ინსტრუმენტები, რაც დაეხმარებათ მასწავლებლებს, სწორად დაგეგმონ თავიანთი პროფესიული საქმიანობა, პროფესიული განვითარება, რაც მათ კარიერულ წინსვლაზე აისახება. შესაბამისად, ამ მეორე ნაწილში თავმოყრილი ყველა საჭირო დოკუმენტაცია და აქტივობა განმარტებული იქნება. ეს ყველაფერი უნდა განახორციელონ, რაც შემდგომ პროფესიულ საქაღალდეში უნდა აისახოს.

**— როდიდან იქნება გზამკვლევის მეორე ნაწილი ხელმისაწვდომი პედაგოგებისთვის?**

– გზამკვლევის მეორე ნაწილი ხელმისაწვდომი იქნება მასწავლებლებისთვის მეორე სემესტრიდან. ამის მერე გვრჩება მესამე ეტაპი, როცა მასწავლებელთა საკლასო დაკვირვება უნდა მოხდეს. ველოდებით შეფასებისა და გამოცდების ცენტრს, რომლებმაც უნდა მოგვაწოდოს ეს სტანდარტიზებული რუბრიკა, რომლის პილოტირებაც მიმდინარეობს. შემდეგი აქტივობები კი, რომლებიც იქნება დამატებითი, გაიწერება. მასწავლებლებს ექნებათ ის კრიტერიუმები, რომლითაც ისინი შეფასდებიან, რაც დაეხმარებათ, სწორად განახორციელონ და დაგეგმონ თავიანთი აქტივობები.

**— ცოტა ხნის წინ მასწავლებლებს რეგისტრაციის პრობლემა შეექმნათ. რა ხდება ამ საკითხზე, როგორ დარეგულირდა მათი საკითხი?**

– თავდაპირველად, მოგეხსენებათ, რომ მასწავლებლები განაწილდნენ, სტატუსები მიენიჭათ მათ, ვინც თავდაპირველად, რეგისტრაცია ვადებში გაიარეს, თუმცა, 1500-მდე პედაგოგი აღმოჩნდა ისეთი, რომლებმაც დარეგისტრირება ვერ მოახერხეს. მათთვის სისტემა გაიხსნა, ვადები გახანგრძლივდა დეკემბრის ბოლომდე და 500-მა მასწავლებელმა უკვე გაიარა რეგისტრაცია. რეგისტრაცია გრძელდება, შესაბამისად, თუ პირველადი რეგისტრაციის შედეგად გვყავდა 151 წამყვანი მასწავლებელი, ამჯერად მათ რიცხვს 31 წამყვანი მასწავლებელი დაემატა და უახლოეს დღეებში ისინი მიიღებენ ამის თაობაზე ინფორმაციას, რასაც მოჰყვება მათთვის სტატუსის მინიჭებაზე ბრძანების ამოქმედება.

**— ძალიან ხშირად გაუკრიტიკებიათ სფეროს ექსპერტებს განათლების სისტემა იმის გამო, რომ მხოლოდ და მხოლოდ 151 წამყვანი მასწავლებელი გვყავდა ამ დრომდე.**

– როდესაც კითხვა დავსვით, ვინ უნდა მოხვედრილიყო წამყვანი მასწავლებლების სიაში, ჩვენ მარტო არ ვართ და ჩვენთან ერთად ამ საკითხზე მუშაობდა სახელმწიფო კომისია, რომელშიც წარმოდგენილები იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, პროფკავშირები, პარლამენტისა და სამინისტროს წარმომადგენლები, პედაგოგები. შევთანხმდით, რომ წამყვან მასწავლებლებად, ამ ეტაპზე განაწილდებიან მხოლოდ ის აკადემიური დოქტორები, რომლებიც სერტიფიცირებული არიან. შესაბამისად, არ ვთვლით, რომ ეს რიცხვი ცოტაა, მით უმეტეს, საუბარია პირველადი განაწილების შედეგებზე.

**— უმცირესობის წარმომადგენლები ხშირად აღნიშნავდნენ, რომ სისტემაში ბოლომდე ინტეგრირებულები არ იყვნენ, იმიტომ, რომ მათ სახელმწიფო ენის ფლობასთან დაკავშირებით ჰქონდათ პრობლემა.**

– ეს რეალური პრობლემაა, ჩვენ ამ რეალობას გავუსწორეთ თვალი და შესაბამისად, თუკი ადრე ხდებოდა, რომ ერთ წელიწადს ქართულად გამოიცემოდა, მაგალითად, გრიფირებული სახელმძღვანელოები, ან ეროვნული სასწავლო გეგმა იწერებოდა და ერთი წლის შემდეგ ხდებოდა მათთვის მათ ენაზე მიწოდება ამ ყველაფრის, ამის შემდგომ ჩვენ გადავწყვიტეთ, ბევრად უფრო სწრაფ ტემპებში მოვახდინოთ ლიტერატურისა და დოკუმენტაციის თარგმნა და სქემა დღეს უკვე თარგმნილია რუსულად, სომხურად და აზერბაიჯანულად, ასევე თარგმნილია სქემის გზამკვლევი, თვითშეფასების კითხვარი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ყველა ეს დოკუმენტაცია თუ პუბლიკაცია, მათთვის ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონულად, ასევე, ბეჭდური ფორმითაც, რაც მათ სკოლებში დაურიგდებათ. როცა სიახლეებისგან თავს მოწყვეტილად გრძნობ, ვერ ხდება სრულ ინტეგრაცია. მათი ფასილიტატორებისთვისაც ჩვეულებრივად ტარდება ტრენინგები.

*დიანა ლიპარტელიანი*

# აქ უკვე ხელისუფლებამ „ჭამა“ და პარლამენტმაც „დაიკიდა“

**ფაქტია, ვერ იმუშავა ბიძინა ივანიშვილის თეორიამ, სახელგატეხილი ჩინოვნიკები განსხვავებულ პირობებში უკეთესად იმუშავებენო**





გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



10 დეკემბერს მოსამართლეთა ასოციაციამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ თურმე მედიასივრცეში გახშირდა ცილისმწამებლური განცხადებების გავრცელება ცალკეული მოსამართლისა და სასამართლო სისტემის მიმართ, რაც მიზანმიმართული დისკრედიტაციის სახეს იღებს და საფრთხეს უქმნის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას:

> **„ყოველივე ლახავს მოსამართლეთა რეპუტაციას და შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოებაში ნიჰილისტური განწყობის ჩამოყალიბება სასამართლო სისტემის მიმართ. იმედს გამოთქვამთ, რომ შესაბამისი ორგანოები მოახდენენ კომპეტენტურ რეაგირებას სამართალდარღვევათა შესაძლო ჩადენის ფაქტებზე“.**

ამ განცხადების გამოქვეყნებას საფუძვლად დაედო კორტების საქმეზე დაპატიმრებულთა ოჯახის წევრების ბრალდება, მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილმა ირაკლი ფირცხალავასა და მისი მეგობრების ციხეში გამწესების სანაცვლოდ ქრთამი აიღოო. 10 დეკემბერს, ასევე, ბრიფინგი გამართა კოჭლამაზაშვილმა და განაცხადა, უზომოდ შეურაცხყოფილი ვარ ასეთი უზნეო, უსინდისო ინფორმაციის გავრცელებითო:

> **„საინტერესოა, ვისგან უნდა ამეღო ქრთამი გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანაში? მინდა შეგახსენოთ, რომ ეს ის დაზარალებული მხარეა, რომელიც თავად არანაკლებ უკმაყოფილო დარჩა ჩემი გადაწყვეტილებით. მათ განაჩენის დროს პროტესტის ნიშნად დატოვეს სასამართლო დარბაზი“.**

უკვე აშკარად ჩანს, რომ მოსამართლეები იმკიან იმას, რაც დათესეს ბოლო 10 წლის განმავლობაში. რა ხდება, რატომ გაიგიჟეს თავი სწორედ მაშინ, როცა „ნაციონალებმა“ შეუტიეს, რატომ გახდნენ სწორედ ახლა ასეთი მგრძნობიარენი და მეორეც – რატომ არ იღებდნენ ხმას, როცა ჩვენ ვაკრიტიკებდით და უსამართლო გადაწყვეტილებების გამოტანაში ვამხელდით? რაო, „ნაციონალებმა“ რომ დაიწყეს ჯერ ურთმელიძით და შემდეგ მიადგნენ კოჭლამაზაშვილს, რამე ისეთი ხომ არ იგრძნეს და ამიტომაც ხომ არ „აეწვათ“ ერთი ადგილი? როდესაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, პირველი ორი წლის განმავლობაში თითქმის ყველა დეპუტატი თუ მთავრობის წევრი ერთხმად აღიარებდა, რომ სასამართლო სისტემა იყო გასაწმენდი. 2014 წლის მეორე ნახევრიდან ტონი შერბილდა, ხოლო 2015 წლიდან ყველა გაჩუმდა, რაც ასევე აშკარად იძლევა იმის საფუძველს, რომ მოხდა რაღაც გარიგება. ბოლოს და ბოლოს, ვაღიაროთ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ნინო გვენეტაძის დანიშვნა აღმოჩნდა, უბრალოდ, შირმა, სასამართლოში, ფაქტობრივად, არც რეფორმა ჩატარებულა და არც სისტემა გაწმენდილა, პირიქით, იქ ახლა სიტუაციას ზურაბ ადეიშვილის კადრები – „მურუსიძეები“, „ცერცვაძეები“ და „მეიშვილები“ მართავენ.

დაუკვირდით ერთ მნიშვნელოვან ფაქტს: ე.წ. ჩვენი მოსამართლეები, რომლებსაც წლების განმავლობაში გამოჰქონდათ სადამსჯელო გადაწყვეტილებები მმართველი პარტიის სასარგებლოდ და გასამართლებული ჰყავთ 300 ათასი ადამიანი, ყოველთვის აპელირებდნენ და დღესაც აპელირებენ თავიანთი „უმწიკვლო“ რეპუტაციით და ამტკიცებენ, რომ თურმე სასამართლო სისტემისა თუ მოსამართლეების კრიტიკა დაუშვებელია.

როგორც ადვოკატი და ყოფილი მოსამართლე, შალვა ხაჭაპურიძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, სასამართლო არ გახლავთ ის ყვავილი, რომლის კრიტიკაც არ შეიძლება: „საქართველოში კი არა, მოსამართლეების კრიტიკა მიდის სტრასბურგშიც, გერმანიაშიც და საფრანგეთშიც, ასევე, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. შენ სიტყვის თავისუფლება აკრძალო სასამართლოს მიმართ, ეს წარმოუდგენელია, რაღაც მახინჯი ფორმა დამკვიდრდა ჩვენთან. თუმცა მსოფლიო სტანდარტების თანახმად, მოსამართლეები არ გამოდიან და არ აკეთებენ ასეთი ტიპის განცხადებებს, ეს შეიძლება გააკეთოს სასამართლოს პრესსამსახურმა ან კიდევ სპიკერ-მოსამართლემ. რაც ახლა კოჭლამაზაშვილმა გააკეთა, ეს არ არის უბრალო მოვლენა, აქ მე ვხედავ სისტემის ნგრევის დასაწყისს. ამ განცხადებას მოჰყვება დაპატიმრებულთა ოჯახების განცხადებები, რაღაცების მტკიცებას დაიწყებენ ადვოკატები. რა გამოდის, მოსამართლეები უნდა გამოვიდნენ და კიდევ უპასუხონ? აქ უკვე მოსამართლე იქცა მხარედ. გაგაკრიტიკეს, ნება იბოძე, მოითმინე, ან რეაგირება მოახდინოს სასამართლოს ადმინისტრაციამ“.

რაც სასამართლო სისტემაში ხდება, ამას აქვს თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები: პირველი – მოხვედი ხელისუფლებაში? სახელგატეხილი მოსამართლეები აუცილებლად უნდა მოგეცილებინა. არ მოიცილე და საქმის კეთება ავტორიტეტშელახული მოსამართლეებით მოინდომე? მაშინ სისტემა თავზე ჩამოგენგრევა; მეორე – როდესაც შენ „ნაციონალ“ მოსამართლეებს ტოვებ და მათი სუსტი წერტილები იგივე „ნაციონალებმა“ მშვენივრად იციან, როცა მოუნდებათ, მაშინ დაგინგრევენ იგივე სისტემას.

შალვა ხაჭაპურიძის თქმით, სწორედ ეს პროცესი მიდის ახლა: „ეს კამპანია არ არის წამოწყებული კოჭლამაზაშვილისთვის. „ნაციონალებს“ აქ სერიოზული გათვლა აქვთ. ვინც სასამართლო სისტემაში ერკვევა, ის იოლად მიხვდება, რაზე ვლაპარაკობ. დღეს მიდის სასამართლო ხელისუფლების დემორალიზაცია, რაც ნელ-ნელა გამოიწვევს მთელი ხელისუფლების დემორალიზაციას. სამწუხაროდ, ბევრ პოლიტიკოს არ აქვს შეგნებული, რა პროცესები მიდის და სასამართლოს უყურებენ, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილს. სხვათა შორის, არსებობს „ცეერუს“ მიერ გამოცემული წიგნი – „დიქტატურიდან დემოკრატიამდე“, რომლითაც თავის დროზე იხელმძღვანელეს სააკაშვილმა და ჟვანიამ, როცა შევარდნაძის მმართველობა დაამხვეს. ამ წიგნში არის აღწერილი, როგორ უნდა მოხდეს მოსამართლეების დემორალიზაცია: გააკეთეთ, რაც შეიძლება მეტი განცხადება კორუფციაზე, მოსყიდვაზე და არაკანონიერებაზე. მე სულ ვფიქრობდი, როდის დაიწყებდნენ „ნაციონალები“ სასამართლოზე დარტყმებს და დაიწყეს კიდეც. აი, ამიტომ არიან საშიშნი ის შავრაზმელები, რომლებიც სასამართლოებში არიან მოკალათებულები და უნდათ, მუდმივ მოსამართლეებად დაინიშნონ. მაგათთვის ღალატი და გადაგდება ჩვეულებრივი ამბავია“.

როდესაც მოსამართლეები და მათი ასოციაციები სასამართლოს დისკრედიტაციაზე ლაპარაკობენ, უნდა გაიხსენონ, რა წარსულის ადამიანებთან გვაქვს საქმე, ანუ ჯერ გადახედონ თავიანთ წარსულს. სხვათა შორის, როდესაც მათ 300 ათას გასამართლებულს უხსენებენ, ხელებს ასავსავებენ და ამბობენ, რას ჰქვია, ჩვენ არაკანონიერად გავასამართლეთ, ერთი ფაქტი მაინც გაქვთ, როცა რომელიმე საქმე გადაიხედა, გადაწყვეტილება გასაჩივრდა, ან შეიცვალაო? ისინი ამ შემთხვევაში მართლები არიან, არც ერთი საქმის გადაწყვეტილება არ შეცვლილა და ამიტომაც გამოდის, ყველა მათი განაჩენი კანონიერია. აქვე ჩნდება კონტრშეკითხვა: მაშინ რატომ გამოიტანა პარლამენტმა დადგენილება და რატომ აღიარა 219 ადამიანი პოლიტპატიმრად? ამ შემთხვევაში მაინც ხომ დასტურდება, რომ 219 საქმე იყო არაკანონიერი? კი, ბატონო, ასეა, მაგრამ აქ უკვე ხელისუფლებამ „ჭამა“ და პარლამენტმაც „დაიკიდა“. რატომ, რა მოხდა, რა გარიგებაზე წავიდა ხელისუფლება? როგორც ხაჭაპურიძე ამბობს, „მურუსიძეებმა“ და მათმა მეგობრებმა ხელისუფლების გარკვეულ წრეებში პირობა დადეს, ჩვენ ყველაფერს გავაკონტროლებთ და სიტუაციას მივხედავთ, ანუ ჩვენს გაფუჭებულს ჩვენვე გამოვასწორებთო:

„აი, ამიტომაც არის, რომ ნინო გვენეტაძე მიტოვებულია და არავინ არაფერს ეკითხება. ეს ის მოსამართლეები არიან, რომლებიც თავის დროზე ასრულებდნენ სააკაშვილის რეჟიმის დავალებებს. გახსოვთ, კოტე კუბლაშვილის დროს რომელიმე მოსამართლე გამოსულიყო და მსგავსი ბრიფინგი ჩაეტარებინა? ასეთ რამეს როგორ გაბედავდნენ? აქ კიდევ ერთი საინტერესო ფაქტს აქვს ადგილი: ნახეთ, მოსამართლეები უკვე გადავიდნენ თვითდაცვის რეჟიმში. ხვალ წალენჯიხის სასამართლო ჩაატარებს პრესკონფერენციას, ზეგ თეთრი წყაროს სასამართლო და ასე შემდეგ. რაც შეეხება პოლიტპატიმრების სტატუსს, პარლამენტმა კი დაადგინა, რომ უკანონობას ჰქონდა ადგილი, მაგრამ შემდგომში ან კომისია, ან რაიმე სტრუქტურა შექმნა, რომელიც ამ საკითხებს შეისწავლიდა? არ შექმნა, „დაიკიდა“ და ახლა მედალს შევხედოთ მეორე მხრიდან, ამ მოსამართლეებმა რა ქნან, როცა შენ დანაშაული ვერ თუ არ დაუმტკიცე? ზოგიერთი მართლა ღირსეული ადამიანია, რატომ უნდა გაისვაროს მურუსიძეებისა თუ სხვათა დანაშაულის გამო, ახლა ხომ განურჩევლად მიდის ყველას დემორალიზაცია? მეტსაც გეტყვით, ვისაც ვადა ამოეწურა და გაუშვეს, ყველა ხელახლა აპირებს მობრუნებას, თქვენ გგონიათ, მარტო მურუსიძე უნდა დატოვონ მუდმივ მოსამართლედ? იმ კვირაში ნახავთ, რა ამბები დატრიალდება, ერთი მოსამართლე იყო საქალაქოში, ჯემალ კოპალიანი, მისი დაბრუნებაც უნდათ, ეს რა უბედურებაა“?

შალვა ხაჭაპურიძის თქმით, ეს მხოლოდ დასაწყისია, „ნაციონალები“ გამოიყენებენ ყველა საქმეს და დარტყმები წავა ცალკეულ მოსამართლეებზე, რასაც ძირგამომპალი სისტემა ვერ გაუმკლავდება. წინასაარჩევნოდ ჩაფიქრებულია მთელი სასამართლო სისტემის მოშლა. მოიშლება და ძალიან კარგი, იქნებ მერე მაინც ეყოს ტვინი ხელისუფლებას, რომ სასამართლო „სუფთა“ კადრებით დააკომპლექტოს. ფაქტია, ვერ იმუშავა ბიძინა ივანიშვილის თეორიამ, სახელგატეხილი ჩინოვნიკები განსხვავებულ პირობებში უკეთესად იმუშავებენო. არ არის ასე, ამ ქვეყანაში ავს რომ ავი არ ეწოდა, ამიტომაც მივიღეთ სრული დომხალიზაცია.

---

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## აქვს თუ არა „სითი პარკს“ ტროტუარზე გაჩერებული ავტომანქანების საჯარიმოზე გადაყვანის უფლება?



ადვოკატმა როინ მიგრიაულმა, „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე „სითი პარკის“ მიერ ავტომანქანების საჯარიმოზე გადაყვანასთან დაკავშირებით, ინფორმაცია განათავსა:

„2015 წ. 15 ივნისიდან ამოქმედდა ნორმა, რომლის თანახმადაც „სითი პარკს“ მიეცა უფლება, არასწორად პარკირებული ავტომანქანა გადაიყვანოს სპეციალურ დაცულ ავტოსადგომზე, თუ ის აფერხებს მოძრაობას, ქმნის საავარიო ვითარებას ან საცობს. „მოძრაობის შეფერხებაში“ ბუნებრივია, იგულისხმება, ასევე, ქვეითთათვის გადაადგილების შეფერხება. ხოლო ქვეითისთვის მოძრაობა შეიძლება მხოლოდ მაშინ შეფერხდეს, თუ ავტომანქანა პარკირებულია ტროტუარზე. ამასთანავე, ტროტუარზე ავტომანქანა იმგვარად უნდა იყოს პარკირებული, რომ ის ხელს უშლიდეს ქვეითებს თავისუფლად გადაადგილებაში, რაც მათ აიძულებს, ჩამოვიდნენ ტროტუარიდან სავალ ნაწილზე და ამით თავი საფრთხეში ჩაიგდონ. უდავოა, რომ ტროტუარზე ამ სახით



პარკირებული ავტომანქანა აფერხებს ქვეითთა მოძრაობასაც და ის „სითი პარკის“ მიერ გადაყვანილი უნდა იქნას სპეციალურ დაცულ ავტოსადგომზე. შესაბამისად, თუკი ტროტუარზე პარკირებული ავტომანქანა არ აფერხებს ქვეითთა მოძრაობას, მაშინ სახეზე არ არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და ასეთი ავტომანქანები არ უნდა იქნას გადაყვანილი ავტოსადგომზე. მიუხედავად ნორმის ამ სიცხადისა, „სითი პარკს“, ჩვეულ რეჟიმში, კვლავ გადაჰყავს ტროტუარზე პარკირებული ისეთი ავტომანქანებიც, რომლებიც არ აფერხებენ ქვეითთა მოძრაობას.

იმ პირობებში, როდესაც თბილისში არ არის საკმარისი პარკირების ადგილები, ავტომანქანის მფლობელებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, ტროტუარის ნაწილზეც განათავსონ ავტომანქანები ისე, რომ ამით ხელი არ შეუშალონ ქვეითებს გადაადგილებაში. ტროტუარზე ავტომანქანების განთავსების შესაძლებლობას დაშვებულია მოქმედი კანონმდებლობითაც, კერძოდ, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ 2013 წელს მიღებული სპეციალური კანონის 37-ე მუხლი აწესრიგებს ავტომანქანების დგომა-გაჩერების წესებს.

აღნიშნული წესი მოიცავს რამდენიმე პირობას:

1) ტროტუარი უნდა იყოს სავალი ნაწილის მოსაზღვრე; 2) ტროტუარის ნაპირზე შეიძლება გაჩერდნენ მხოლოდ მსუბუქი ავტომობილები; 3) ტროტუარის ნაპირზე გაჩერებული მსუბუქი ავტომობილი დაბრკოლებას არ უნდა უქმნიდეს ქვეითს

ამდენად, ჩვენ მიერ პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტით აღიკვეთება „სითი პარკის“ უკანონო ქმედებები ტროტუარზე სწორად, ანუ დადგენილი წესებით პარკირებული ავტომანქანის მიმართ“. (postalioni.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## გინესის ქართველი რეკორდსმენი მოსკოვში მილიონი რუბლის ქურდობისთვის დააკავეს



გინესის ქართველმა რეკორდსმენმა მოსკოვში მილიონი რუბლის ოდენობის თანხა მოიპარა. აღნიშნულ ინფორმაციას „ბიბისი" ავრცელებს

როგორც ირკვევა, საქართველოს მოქალაქე ჯემალ ტყეშელაშვილი რუსმა სამართალდამცველებმა ბინის გაქურდვის ბრალდებით დააკავეს. რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველოს უფროსის, ანდრეი გალიაკბეროვის განცხადებით, პოლიციას მოქალაქე დაუკავშირდა, რომელმაც საკუთარი ბინიდან ძვირად ღირებული საათისა და დიდი ოდენობით თანხის დაკარგვის შესახებ აცნობა. გავრცელებული ინფორმაციით, თანხა მილიონ რუსულ რუბლს აღემატება.

ძარცვის საქმესთან დაკავშირებით სამართალდამცველებმა სამი პირი დააკავეს, მათგან ერთ-ერთი ჯემალ ტყეშელაშვილი აღმოჩნდა. დაკავებულმა ჩადენილი დანაშაული აღიარა.

ტყეშელაშვილი გინესის რეკორდების წიგნში, ცხვირიდან ჩაბერვით სათბურას (ე.წ. „გრელკას") გახეთქვით შევიდა. ცნობილია, რომ მას გაბერილი აქვს ყველგანმავლის საბურავიც. ტყეშელაშვილი ასევე უკრაინის ჩემპიონია ძიუდოში. 2008 წელს ის მსოფლიო თასის მფლობელი გახდა. რეკორდსმენის ოცნებას ამერიკაში ჩასვლა და საფრენ ბილიკზე 612-ტონიანი „ბოინგის" 15 მეტრ მანძილზე გაწევა წარმოადგენდა. (ინტერპრესნიუსი)

## 26 წლის მამაკაცს, შარიათის კანონების თანახმად, ხელები მოაჭრეს



26 წლის აზერბაიჯანელ ვუსალ ბაშიროვს ერთ-ერთი რადიკალური რელიგიური მოძრაობის წარმომადგენლებმა, შარიათის კანონების მიხედვით, ხელის მტევნები მოაჭრეს.

გამოძიების მსვლელობისას გაირკვა, რომ ბაშიროვს ვინმე არაზ მუსაევის ვალი ჰქონდა. რაშად ტაჰიროვმა და არაზ მუსაევმა კი ვალის არდაბრუნების გამო ბაშიროვის დასჯა გადაწყვიტეს. მათ ნაჯახი იყიდეს და ბაშიროვს ერთ-ერთ სახლში შეხვედრა დაუნიშნეს. ადგილზე მისული გაკოჭეს, სცემეს და მათივე თქმით, შარიათის წესების თანახმად დასაჯეს – ხელების მტევნები მოაჭრეს.

გამოძიების ინფორმაციით, დამნაშავეებს იმედი ჰქონდათ, რომ ბაშიროვი სისხლისგან დაიცლებოდა და მოკვდებოდა. თუმცა, ერთ-ერთ მეზობელს მამაკაცის ყვირილის ხმა შემოესმა და პოლიცია გამოიძახა. ბაშიროვი ამჟამად საავადმყოფოში იმყოფება და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. მუსაევი და ტაჰიროვი კი სამართალდამცავებმა დააკავეს. (ნიუპოსტი)

## ბოლო წლებში ჩვენი ქვეყნის საგარეო ვალი განუხრელად იზრდებოდა








ცნობილია, რომ საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა, 2015 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, 14,1 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. აქედან სახელმწიფო საგარეო ვალის მოცულობა 5,9 მილიარდი აშშ დოლარია. 2015 წლის პირველი სამი კვარტალის მდგომარეობით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საგარეო ვალი აშშ დოლარში შემცირებულია, თუმცა ვალუტის კურსის ცვლილების გამო ლარში, პირიქით, გაზრდილია. მთავრობის უმსხვილეს მრავალმხრივ კრედიტორთა სამეული ასე გამოიყურება: განვითარების საერთაშორისო ასოციაცია, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი და აზიის განვითარების ბანკი, ხოლო უმსხვილეს ორმხრივ კრედიტორთა სამეულია: გერმანია, იაპონია და რუსეთი.

როგორც ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ავთო სილაგაძე ამბობს, 2010 წლიდან მოყოლებული, ჩვენი ქვეყნის ვალი განუხრელად იზრდებოდა:

– გასული წლების სტატისტიკას თუ მოვიშველიებთ, ასეთ სურათს დავინახავთ: 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი საგარეო ვალი იყო 10,6 მილიარდი დოლარი. 2011 წლის ბოლოს კი, 11,6 მილიარდი გახდა, ანუ დაახლოებით 1 მილიარდი დოლარით გაიზარდა. 2012 წლის ბოლოს ჩვენი ქვეყნის მთლიანი ვალი 13,3 მილიარდი დოლარი გახდა, ანუ კიდევ 1,5 მილიარდით მოიმატა. 2013 წელს მთლიანი საგარეო ვალი უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც შემცირდა და 13,255 მლრდ ლარი შეადგინა. რაც შეეხება 2014 წელს, 13,8 მილიარდი დოლარი გახდა, ანუ ისევ გაიზარდა. ამჟამად მთლიანი საგარეო ვალი უკვე 14,1 მილიარდი დოლარია. აქედან დასკვნა: მთლიანი საგარეო ვალი ძალიან სწრაფი ტემპით იზრდებოდა 2010-2012 წლებში, დაახლოებით, ხოლო შემდგომ პერიოდში ასეთ ზრდას ადგილი აღარ ჰქონია. ახლა რაც შეეხება სახელმწიფო ვალს – სახელმწიფო ვალში განიხილება როგორც მთავრობის, ასევე, ეროვნული ბანკის ვალები. მთავრობის ვალი 2010-2012 წლებში, ასევე, სწრაფი ტემპებით იზრდებოდა, შემდგომ პერიოდში კი მდგომარეობა შედარებით დასტაბილურდა. დღეის მდგომარეობით, ანუ 2015 წლის შუა პერიოდში, მთავრობის ვალი 4,3 მილიარდი დოლარია. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა ეროვნული ბანკის ვალი, რომელიც ახლა 233 მილიონ დოლარს შეადგენს მაშინ, როდესაც 2013 წლის ბოლოს 500 მილიონ დოლარს აღწევდა. 2014 წლის ბოლოდან მოყოლებული, ეროვნული ბანკი ვალებს მაქსიმალურად სწრაფად ისტუმრებდა, რითაც ძალიან დააჩქარა ლარის დევალვაციის პროცესი, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა თემაა.

ავთო სილაგაძის თქმით, ჩვენს ქვეყანას ვალის მომსახურება საკმაოდ ძვირი უჯდება და ეს უახლოეს პერიოდშიც გამოჩნდება:

– სულ მალე, მთლიანი საგარეო ვალის მომსახურებისთვის 1 მილიარდ 400 მილიონი დოლარის ოდენობის თანხა გვექნება გასასტუმრებელი. ეს დაუყოვნებლივ გადასახდელი თანხაა, რადგან ქვეყანამ 900 მილიონამდე ძირითადი ვალი უნდა გადაიხადოს, ხოლო პროცენტის სახით 500 მილიონის ფარგლებში უნდა გადავიხადოთ.

ეკონომიკის ექსპერტ სოსო არჩვაძის შეფასებით, უცხოური ვალუტის მიხედვით, ჩვენი ქვეყნის ვალი საგანგაშოდ არ გაზრდილა, მაგრამ სამაგიეროდ ლარში გაიზარდა:

– ჩვენ ბიუჯეტს ვადგენთ ლარებში და როდესაც ეროვნული ვალუტა ეცემა, ამას სერიოზული ცვლილებები მოაქვს ქვეყნის მიერ აღებულ ვალდებულებებში. მაგალითად, თუ ჩვენ გვაქვს ვალი 100 მილიონი დოლარის ოდენობით, ერთია, როცა კურსი არის 1,75 და მეორე, როდესაც კურსი არის 2,30. შესაბამისად, ვალის მომსახურება ეროვნული ვალუტის დევალვაციის შემთხვევაში საკმაოდ ძვირდება. პირიქით, თუ ეროვნული ვალუტა მყარდება, ვალის მომსახურებაც იოლდება. ამიტომ სასურველია, ეროვნული ვალუტა არ ეცემოდეს, რადგან ამ შემთხვევაში ბიუჯეტიდან სულ უფრო მეტი თანხის გადახდა მოგვიწევს.

სოსო არჩვაძის თქმით, როდესაც 2016 წლის ბიუჯეტის პროექტს გადავხედავთ, იქ აშკარად ჩანს, რომ ჩვენ კვლავ ვაგრძელებთ ვალების აღებას, რაც ჩვენი ბიუჯეტისთვის სერიოზული ტვირთია:

– მართალია, დიდი ქვეყნებიც იღებენ ვალებს, მაგრამ მათ ამ ვალების მომსახურება არ უჭირთ. ჩვენთან ვალის თანაფარდობა მშპ-თან სადღაც 35 პროცენტის ფარგლებშია. საერთოდ მიღებული ნორმით, საგარეო ვალის მშპ-სთან შეფარდება 60 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. ჩვენ არ გვაქვს საგანგაშო მდგომარეობა, მაგრამ ვალების მომსახურება მაინც რთულია. არსებობს ქვეყნები, რომლებსაც ეს მაჩვენებელი 100 პროცენტზე მეტი აქვთ. მაგალითად: აშშ-ის ვალის შეფარდება მშპ-თან 107 პროცენტზე მეტია, მაგრამ ამ ქვეყნის ეკონომიკა იმდენად ძლიერია, რომ ახერხებს ვალებთან გამკლავებას. ჩვენთან არ არის ასეთი დიდი მაჩვენებლები, მაგრამ რაც არის, ისიც მძიმე ტვირთია ქვეყნის ბიუჯეტისთვის. საკმაოდ დიდი ხარჯებია ბიუჯეტში გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების გასასტუმრებლად. მომავალ წელს მარტო პროცენტის სახით უნდა გადავიხადოთ 110 მილიონი დოლარი, რაც ლარში 250 მილიონი ლარია და ეს საკმაოდ დიდი ციფრია. ამ ვალდებულების დაფარვა რომ არ გვიწევდეს, პენსიების მომატებას კიდევ 20-25 ლარით შევძლებდით. აქვე შეგახსენებთ აგვისტოს ომის შემდეგ ევროფონდებით მოზიდულ 500 მილიონი დოლარსაც. წელიწადში ვიხდით ამ ვალის 6,9%-ს და ის უნდა დავფაროთ 2021 წლამდე. პროცენტის ჩათვლით, სულ 900 მილიონის გადახდა მოგვიწევს. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ეს ჩვენი ეკონომიკისთვის სერიოზული დანახარჯებია. (bpn.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ჩიორა თაქთაქიშვილის პარიზული მარცხი და ანეკდოტად ქცეული მოთხოვნები



პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, ეკა ბესელია „ფეისბუკში" განცხადებას ავრცელებს:

„პარიზში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომაზე იხილებოდა ევროპის ქვეყნებში უფლებადამცველთა და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის პრობლემები. გაკრიტიკებული იყო რუსეთი, თურქეთი და აზერბაიჯანი.

ჩიორა თაქთაქიშვილმა ვერ აიტანა, რომ საქართველოს მიმართ არ იყო არც ერთი უარყოფითი შეფასება და დააყენა საკითხი, უარყოფითი ჩანაწერი დამატებოდა საქართველოზე რეზოლუციის პროექტს.

მომიხდა გახსენება, როგორ აპატიმრებდნენ ადვოკატებს და როგორ ექცეოდნენ არასამთავრობოებს. მოკლედ, კომიტეტმა არ გაიზიარა ჩიორას მცდელობა, დაეყენებინა საქართველო რუსეთთან ერთად ნეგატიურ ჩამონათვალში. შეახსენეს, რომ დღეს საქართველო რეფორმებს ატარებს.

მეორე ცდაც მარცხით დასრულდა ჩიორასთვის – ისე როგორ დაასრულებდა სხდომას, ბიძინა ივანიშვილი რომ არ ეხსენებინა?! არასამთავრობოებს აშანტაჟებსო, ამის ჩაწერას ითხოვდა რეზოლუციის პროექტში.... ბიძინა ივანიშვილი ახსოვთ ყველგან, რა ქნან, მაგრამ ამასობაში დაავიწყდა, ყოფილი პრემიერი დღეს რომ არასამთავრობო ორგანიზაციას წარმოადგენს. მარტივად ვიკითხე, – ეს ტყუილი რომ არის, რასაც ამბობს, ერთია, მაგრამ მეორე მხრივ, ევროპის საბჭომ, არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერაზე მსჯელობისას როგორ უნდა „მოახერხოს" ჩაწერა რეზოლუციაში, რომ ბიძინა ივანიშვილი, რომელიც დღეს სამოქალაქო სექტორს წარმოადგენს, ნუ გამოთქვამს კრიტიკულ მოსაზრებებს-მეთქი?

მოკლედ, დღის ანეკდოტად იქცა ჩიორას მცდელობები; ევროპის საბჭოს კომიტეტზე არ იქნა გაზიარებული ჩიორას სურვილები, თუმცა ყველაზე ამაზრზენი არის ის, როგორ აყენებენ ქვეყანას შეურაცხყოფას და ლაფში სვრიან საქართველოს სახელს ეს მავნებლები. – წერს ბესელია. (marshalpress.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ლალი მოროშკინა: ბევრჯერ ყოფილა, შეწყალების კომისიას შეუწყალებია პატიმარი, 20 წუთში დაურეკავთ და უთქვამთ, რომ შეწყალება გადაიფიქრეს



– ბევრჯერ ყოფილა, რომ შეწყალების კომისიას შეუწყალებია პატიმარი, მაგრამ 20 წუთში დაურეკავთ და უთქვამთ, რომ მათ შეწყალება გადაიფიქრეს. ანუ არ იყო ჯეროვნად შესწავლილი საკითხი. ასეთი რამ რამდენჯერმე მომხდარა, – ორგანიზაცია „ძლიერი ქალი ძლიერი სახელმწიფოს" დამფუძნებელმა, ლალი მოროშკინამ აღნიშნული განცხადება ტოქშოუ „ბარიერში" გააკეთა.

მოროშკინას თქმით, შეწყალების კომისიის მიმართ მას ბევრი კითხვა აქვს. გადაცემაში დებატებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორი, ეკა გიგაური ესწრებოდა, რომელიც შეწყალების კომისიის წევრია. მოროშკინას კითხვებს გიგაურმა უპასუხა. – ძალიან მინდა ეკა გიგაურისგან მივიღო პასუხი კითხვაზე – გახსოვთ თუ არა თქვენ, შეიწყალეთ ადამიანი, რომელიც ციხეში სულ ორი თვე იმყოფებოდა. მას არა თუ მესამედი, რეალურად ციხიდან ორ თვეში გამოუშვეს და ვიცით, რომ მისმა ოჯახმა გაყიდა ყველაფერი აბსოლუტურად. ერთი რაც ვიცით, არის ის, რომ ამ პროცესში ძალიან ბევრი ადამიანი იყო ჩართული, მაგრამ შეწყალების კომისიამ ის ორი თვის შემდეგ გაათავისუფლა, – განაცხადა მოროშკინამ, რაზეც გიგაურმა უპასუხა, რომ კონკრეტული ფაქტი მას არ ახსოვს, თუმცა, მაგალითად, მარიხუანის მოხმარებაზე ნასამართლევი პირის შეწყალება შედარებით ადრე ხდება.

– ამაზე პასუხის გაცემა ზოგადად არ შემიძლია, რადგან კონკრეტულ ქეისებზე ვერ ვისაუბრებ. ერთი შეწყალების დროს ჩვენ დაახლოებით 500-მდე საქმეს ვიხილავთ და ძალიან რთულია ყველა საქმე გაიხსენო.

მარიხუანის მოხმარებისთვის ნასამართლევს ძალიან ჰუმანურად ვექცევით. ეს არის ზოგადი მიდგომა, რომელიც ჩვენ გვაქვს და არ გამოვრიცხავ ორ თვეში ვინმე შეგვეწყალებინა, – განაცხადა გიგაურმა. (რეპორტიორი)

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00





1. მხატვრობა, ანუ ...
2. ჰომეროსის პოემა
3. მხ/ფ „მიმინო“ მიზანდარი და ...
4. რადიოტალღების მიმღები ხელსაწყო
5. შტატი აშშ-ში
6. ქალაქი ესპანეთში
7. აფროდიტეს სატრფო
8. ნაბიჯი ბალეტში
9. კინოფირის ერთი ფოტო
10. ალა პუგაჩოვას ადრეული ჰიტი
11. ამერიკული კეტბურთი
12. მსახიობი ... პიტი
13. „საქორწილო მარშის“ ავტორი
14. მომღერალი ბობ ...
15. მარცვლოვანი მცენარე
16. „ბერნარდა ... სახლი“
17. პურეული ნაწარმი
18. მაღალი ხარისხის მინა
19. საზაფხულო შესვენება სკოლაში
20. მექანიკის ოქროს ...
21. დაკოდილი ცხენი
22. დიდი საჯარისო შენაერთი
23. მტაცებელი ფრინველის ნარნარი ფრენა
24. ჯამის ფორმის სასმისი
25. მან აღორძინა ოლიმპ. თამაშები
26. ერთ ფეხზე დგომა ბალეტში
27. საერთო ევროპული ფული
28. რეჟისორი ... ჯორჯაძე
29. მხატვარი ... სულაკაური
30. მახრჩობელა გველი
31. სამიანი ნარდში
32. რემბრანდტის ნახატი
33. ტყის დაცული ტერიტორია
34. ექიმ აიბოლიტის ძაღლი
35. ბრტყელი თევზი
36. მან გამოიგონა პასტერიზაცია
37. მოლაქლაქე ადამიანი
38. სახელმწიფო აზიაში
39. თევზის წვნიანი
40. მსახიობი კრისტიან ...
41. საპალტოე შალის ნაჭერი
42. თეატრის სცენის განათება
43. „კაცი, რომელიც იცინის“ პერსონაჟი
44. შტატი აშშ-ში
45. ღორების ჯოგი
46. ფანჯიკიძ. „მეშვიდე ...“
47. მწერალი ლუიჯი ...
48. ერთ-ნახადი არაყი
49. მან ააგო კიდობანი
50. მომღერალი ... ღურწკაია
51. კვერცხის ჭრილის ფორმა
52. ქალაქი ციმბირში
53. XIX საუკუნის ფრანგი დიპლომატი
54. პიესა „რევიზორის“ ავტორი
55. მსახიობი ... იოჰანსონი
56. მიწათმოქმედების სპეციალისტი
57. რეჟისორი პედრო ...
58. დრამატურგი ... ბრეხტი
59. მსახიობი მარინა ...
60. ნელი ტემპი მუსიკაში
61. კურორტი ბორჯომთან
62. იაპონური მინიატურ. ქანდაკება
63. მსახიობი ... კეიტელი
64. ... მორჩილაძე
65. ბალერინა ... ნიორაძე
66. მსახიობი ჰარისონ ...
67. გემის გვერდი
68. რუსი გოლიათი ილია ...
69. მწერალი ნოდარ ...
70. თევზის ჯიში
71. ძვ. ქართ. სამედიც. ენციკლოპედია
72. თბილისის გარეუბანი
73. ბესიკი. „... ტატანო“
74. მწვანილი
75. მტაცებელი თევზი ამაზონში
76. შიიზმის მიმდევარი
77. ლითონი. ადნობენ პლატინასთან
78. იაპონური ხალათი
79. სოფელი რაჭაში
80. ვაჟიშვილი
81. ცხოველები: შინაური და ...
82. ხილი
83. პერსონა ... გრატა
84. მშენებელი ძველი განმარტებით
85. კონტინენტი
86. ... მტრობას დაუნგრევია
87. ოტელოს ეროვნება
88. ქართ. ხალხური ზღაპარი
89. ქართ. საესტრადო ანსამბლი
90. პურეულის სალეწი მოედანი ძველად
91. მსახიობი ვახტანგ ...
92. ჯულია ორმონდი ფილმში
93. შერლოკ ჰოლმსის მეთოდი
94. მსახიობი ... ლონგორია
95. რუსული ესტრადის მსახიობი არკადი ...
96. მსახიობი ედი ...
97. მსახიობების შერჩევა
98. ხორბლის ფქვილის გამონაცერი
99. მინდვრის ყვავილი
100. ლუკ ბესონის ფილმი
101. მედუზა გველის თმებით (მით.)
102. შოკოლადის ხის ნაყოფი
103. ქართ. სუფრის ხელმძღვანელი
104. შხამიანი მწერი
105. „ფქვენი მოუ ფაქო და ...“
106. კუდიანი ვარსკვლავი
107. უკრაინული ცეკვა
108. იატაკზე დასაგები ფიცარი
109. მწერალი ფრანც ...
110. ... არაბეთს როსტევან
111. პატარა ტანის ძაღლი
112. რეჟისორი ფრანკო ...
113. „და მე არ მინდა სხვა ...“
114. მხ/ფ „თავადის ქალი ...“
115. მეამბოხე ... რაზინი
116. ტბა თბილისში
117. ის, ვინც მოსმენილ ტექსტს ძალიან სწრაფად იწერს
118. მსახიობი ... მარტინი
119. სოფელი კასპის რაიონში
120. მსახიობი ... მიფუნე
121. მსახიობი ფრენკ ...
122. ლუდის მასალა
123. ჩირქის გამომწვევი მიკრობი
124. „მე, ბებია, ... და ილარიონი“
125. ჟურნალი ქართულ პრესაში
126. ავსტრიის დედაქალაქი
127. მისი დედაქალაქია თეირანი
128. ... ფრეინდლიხი
129. ათი მცნების ავტორი
130. მდინარე აღმ. საქართ.
131. მთა კოჯორთან
132. იუპიტერის თანამგზავრი
133. ძვ. თბილისური მიმართვა
134. დაყაჩაღება
135. თმის საშრობი ხელსაწყო
136. მომღერალი ... ჯორჯი
137. მსახიობი გოგი ...
138. შეძახილი ტკივილისას
139. პატარა არხი
140. მსახიობი ... ჰეჩი
141. გამის ნოტი
142. „ბეჭდების მბრძანებ.“ ჰობიტი
143. ძვირფასი ლითონი

პასუხები: 1. ფერწერა; 2. „ილიადა“; 3. ხაჩიკიანი; 4. ანტენა; 5. ნევადა; 6. ვალენსია; 7. ადონისი; 8. პა; 9. კადრი; 10. „არლეკინო“; 11. ბეისბოლი; 12. ბრედ; 13. მენდელსონი; 14. დილანი; 15. წიწიბურა; 16. ალბას; 17. ფუნთუშა; 18. ბროლი; 19. არდადეგები; 20. წესი; 21. იაბო; 22. არმია; 23. ირაო; 24. ფიალა; 25. კუბერტენი; 26. არაბესკი; 27. ევრო; 28. ნანა; 29. ზაალ; 30. პითონი; 31. სე; 32. „დანაე“; 33. ნაკრძალი; 34. ავია; 35. კამბალა; 36. პასტერი; 37. ყბედი; 38. პაკისტანი; 39. უხა; 40. სლეიტერი; 41. გაბარდინი; 42. რამპა; 43. დეა; 44. ოკლაჰომა; 45. კოლტი; 46. ცა; 47. პირანდელო; 48. რახი; 49. ნოე; 50. დიანა; 51. ოვალი; 52. ირკუტსკი; 53. ტალეირანი; 54. გოგოლი; 55. სკარლეტ; 56. აგრონომი; 57. ალმოდოვარი; 58. ბერტოლტ; 59. ვლადი; 60. გრავე; 61. ლიკანი; 62. ნეცკე; 63. ჰარვი; 64. აკა; 65. ირმა; 66. ფორდი; 67. ბორტი; 68. მურომეცი; 69. დუმბაძე; 70. ციმორი; 71. კარაბადინი; 72. ლილო; 73. ტანო; 74. კამა; 75. პირანია; 76. შიიტი; 77. ირიდიუმი; 78. კიმონო; 79. ირი; 80. ძე; 81. გარეული; 82. ქლიავი; 83. ნონ; 84. ხუროთმოძღვარი; 85. ამერიკა; 86. რაც; 87. მავრი; 88. „წიქარა“; 89. „ივერია“; 90. კალო; 91. ნინუა; 92. „საბრინა“; 93. დედუქცია; 94. ევა; 95. რაიკინი; 96. მერფი; 97. კასტინგი; 98. ქატო; 99. გვირილა; 100. „ნიკიტა“; 101. გორგონა; 102. კაკაო; 103. თამადა; 104. კრაზანა; 105. ამიკო; 106. კომეტა; 107. გოპაკი; 108. პარკეტი; 109. კაფკა; 110. იყო; 111. ფინია; 112. ძეფირელი; 113. ნეტარება; 114. მაია; 115. სტეფანე; 116. ლისი; 117. სტენოგრაფისტი; 118. სტივ; 119. გრაკალი; 120. ტოსირო; 121. სინატრა; 122. ალაო; 123. სტაფილოკოკი; 124. ილიკო; 125. „გზა“; 126. ვენა; 127. ირანი; 128. ალისა; 129. მოსე; 130. არაგვი; 131. უძო; 132. იო; 133. ტო; 134. რეკეტი; 135. ფენი; 136. ბოი; 137. ხარაბაძე; 138. ვაი; 139. რუ; 140. ენ; 141. ფა; 142. ფროდო; 143. პლატინა. იკითხება: ბერიკაშვილი. ნინიძე.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

# ტოვებენ თუ არა „რესპუბლიკელები“ კოალიციას — ზურაბიშვილი აუცილებელ ცვლილებებზე საუბრობს



„ჩვენ ვთვლით, რომ ის, რაც არის დღეს, აუცილებლად შესაცვლელია. ამ ვითარებაში გასვლა კოალიციიდან, კოალიციისთვისაც, „რესპუბლიკური პარტიისთვისაც“ და ქვეყნისთვისაც წამგებიანი იქნება, მაგრამ საჭიროა ცვლილებები. დანარჩენი შიდა კოალიციური მოლაპარაკების საგანია“, – აცხადებს „რესპუბლიკური პარტიის“ წარმომადგენელი, საკრებულოს წევრი დავით ზურაბიშვილი.

„ჩვენ ვფიქრობთ, რომ, მართლაც, რაღაც-რაღაცებია გასაკეთებელი იმისთვის, რომ ჩვენ სრულფასოვნად ვიყოთ არჩევნებზე წარმოდგენილნი. ჩვენ არ ვართ განწყობილნი იმისთვის, რომ გინდა თუ არა, კოალიცია დავტოვოთ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ უფრო პრიორიტეტულია ჩვენთვის კოალიციაში ყოფნით სიტუაციის გაუმჯობესება და ახალი მიდგომების პრეზენტირება საზოგადოებისთვის. საზოგადოებამ უნდა დაინახოს, რომ რეალური ცვლილებებისკენ მივდივართ. ეს არ იყო ის ტიპური კოალიცია, როგორიც ევროპაში ხდება. ევროპაში წინასწარ არის ხოლმე განზრახული, რაში აქვთ თანხმობა, რაში არიან ერთნი, რაში ინაწილებენ პასუხისმგებლობას. ეს კოალიცია მაინც იყო ერთი პიროვნების გარშემო შეკრებილი და მიმართული იყო ერთი ხელისუფლების წინააღმდეგ. თავის დროზე ის ამ სპეციფიკურ ვითარებაში შეიქმნა და ახლა ამ სპეციფიკური ვითარებიდან სხვა ტიპის ვითარებაში, გარდამავალ პერიოდში ვართ... ვფიქრობთ, ჩვენი პოლიტიკური სპექტრის დიდ ნაწილში ჰგონიათ, რომ საზოგადოება გაცილებით რეტროგრადული და ჩამორჩენილია, რეალურად კი ჩვენი საზოგადოება გაცილებით წინ არის. ბევრი ჩვენი პოლიტიკოსი ჩარჩენილია სხვა ეპოქაში და იმ გადმოსახედიდან უყურებს რეალობას, რომელიც პრინციპულად სხვაგვარია“, – განაცხადა ზურაბიშვილმა.

ზურაბიშვილის განმარტებით, ეს დამოკიდებულება, ნაწილობრივ, შეწყალებასთან დაკავშირებით საპატრიარქოს განცხადებას უკავშირდებოდა.

„ერთია, რას ამბობს საპატრიარქო და პატრიარქი და მეორეა, როგორი რეაქცია აქვთ ამაზე პოლიტიკოსებს. სახელმწიფოს ფუნქციები სასულიერო პირს ექსკლუზიურად არ უნდა გადაეცეს“, – დასძინა ზურაბიშვილმა.

(kvira.ge)


ნინო ლაბარტყავა

571 99-92-33




# რას აცხადებენ პარტიები, რომლებმაც „ვიზალიბერალიზაციის მიმართვას“ ხელი არ მოაწერეს?





**სამი დღის მანძილზე ინტრიგად რჩებოდა, რატომ არ მოაწერეს ხელი ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით შედგენილ მიმართვას ხელი „ქართულმა ოცნებამ“, „ეროვნულმა ფორუმმა“, „კონსერვატორებმა“ და „მრეწველებმა“.**

**„ალია“ დაინტერესდა, რა მიზეზით თქვეს უარი ხელის მოწერაზე აღნიშნულმა პარტიებმა და თითოეული მათგანს კომენტარისთვის დაუკავშირდა. სიტუაციის დასაზუსტებლად, აქვე გეტყვით, რომ „ეროვნულმა ფორუმმა“ მიმართვას ხელი მოაწერა, თუმცა ეს მოხდა მას შემდეგ, რაც „ახალმა მემარჯვენეების“ ლიდერმა, მანანა ნაჭყებიამ ის პარტიები დაასახელა, ვინც ხელმოწერისგან თავი შეიკავა.**

**ანი მიროტაძე, „ეროვნული ფორუმი“:** იყო რაღაც გარკვეული ტექნიკური გაუგებრობა, რადგან ჩვენ გადმოგვეგზავნა ეს დოკუმენტი განსახილველად და ვიცოდით, რომ დედლაინი იყო ორშაბათი. დანარჩენი, როგორ უნდა მომხდარიყო მერე ტექნიკურად გაფორმება, ან უარის თქმა, ამაზე მანამდე არ მოგვილაპარაკებია. შემდეგ, როდესაც მიმართვის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა, ჩვენი მხრიდან არანაირი წინააღმდეგობა არ ყოფილა და მიმართვაზე ხელმოწერაც არის. მე მოვაწერე ხელი ჩემი პარტიის სახელით, რადგან გუბაზ სანიკიძე თბილისში არ იმყოფებოდა, ჩინეთშია, არც ჩვენი ფრაქციის თავმჯდომარე სოსო ვახტანგაშვილი არ იყო თბილისში და ასეთ სიტუაციაში, მე მქონდა ამის უფლება და ხელი მოვაწერე.

**ბიძინა გუჯაბიძე, „კონსერვატორები“:** ყველას ჰქონდა გამოხატვის თავისუფალი ნება. ჩვენ ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით პარლამენტში დადგენილების მიღება გვინდოდა, მივიღეთ ეს დადგენილება, ხმა მივეცით და ახლა ჩვენ ყველა პარტიას კოჭს ვერ გავუგორებთ. ასე რომ, კონკრეტულად მაგ დოკუმენტზე „კონსერვატორების“ ხელმოწერა არ არის და რომელ პარტიას რა გაუხარდება, ამაზე ხელს ვერ მოვაწერთ. სხვამ, კი, ბატონო, მოაწერა ხელი და მათ შორის არიან კოალიციაში შემავალი პარტიები, მათ იმ დოკუმენტსაც მისცეს ხმა, რომელიც პარლამენტმა მიიღო. ასე რომ, ამის პრობლემა არ არის.

**ზურაბ ტყემალაძე, „მრეწველები“:** კი, სიმართლეა, რომ „მრეწველებმა“ არ მოაწერა ხელი აღნიშნულ მიმართვას. არასაპარლამენტო პარტიების ამ განცხადების სულისკვეთებას მთლიანად ვიზიარებ, არაფერი პრობლემა არ არის, უბრალოდ, ერთი და იმავე შინაარსის ორ განცხადებაზე ხელის მოწერა ცოტა უცნაურად მიმაჩნია. პარლამენტში მივიღეთ განცხადება, სადაც ჩაწერილია, რომ მთლიანად ვიზიარებთ იმ განწყობას, რაც არასაპარლამენტო პარტიების მიმართვაშია აღნიშნული. პარლამენტში მაგ განცხადებასთან ერთად, „თავისუფალმა დემოკრატებმაც“ შემოიტანეს იგივე შინაარსის განცხადება, ორივეს სულისკვეთებას ვიზიარებთ და პარლამენტში მიღებულ განცხადებაში ეს გავაერთიანეთ, ჩავდეთ და ჩავწერეთ, რომ ვიზიარებთ.

**გია ვოლსკი, „ქართული ოცნება“:** ვიზიარებთ არასაპარლამენტო პარტიების ინიციატივით შედგენილი დოკუმენტის აზრს, მასში ჩამოყალიბებულ მიდგომებს და ამით დავამთავრეთ ამ თემაზე საუბარი. იქ ბევრი ტექნიკური საკითხიც იყო, – პოლიტსაბჭოების შეკრების ამოცანა, ფრაქციაში შეთანხმების ამოცანა... ჩვენთან, „ქართულ ოცნებაში“, გაცილებით ძნელია, რადგან ძალიან დიდი რაოდენობის ხალხი უნდა იყოს ჩართული და მათი თანხმობა უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, პარტიის ლიდერის. ასე რომ, ეს ასე სწრაფად ვერ გადაწყდებოდა, ამიტომ სწრაფი და ეფექტური გზა ავირჩიეთ, უფრო მაღალი ლეგიტიმურობის დოკუმენტში ჩავრთეთ ისეთი ფორმულირება, რომელიც პატივს მიაგებს იმ დოკუმენტს, რომელიც მიიღო არასაპარლამენტო და ზოგიერთმა საპარლამენტო პარტიამ.

**მანანა ნაჭყებია, „ახალი მემარჯვენეები“:**

**— პარტიებმა, რომლებმაც მიმართვას ხელი არ მოაწერეს, „ალიას“ განუცხადეს, რომ ყველა მათგანი იზიარებს თქვენი მიმართვის შინაარსს და ეს პოზიცია პარლამენტში მომზადებულ რეზოლუციაშიც ასახეს. თუმცა ნაწილი ტექნიკურ პრობლემებზე საუბრობს. თქვენ დაინტერესდით, რატომ არ მოაწერეს მათ ხელი?**

– ჩემთვის აუხსნელია, რატომ არ მოაწერეს მათ ხელი. ამ საკითხთან დაკავშირებით 20 ნოემბერს ჩავატარე ბრიფინგი, ხოლო პარლამენტში ვიკა დოლიძის ინიციატივა მას შემდეგ შევიდა, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ამ ინიციატივით გამოსვლის მიზანი იყო ის, რომ ევროკავშირისა და მისი სტრუქტურებისთვის გვეჩვენებინა, საქართველოში ძირითადი პოლიტიკური პარტიები ვთანხმდებით, რომ ევროინტეგრაცია ჩვენი ქვეყნის მომავალია და ამ გზაზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტად ვიზალიბერალიზაცია გვესახება. ჩვენს დოკუმენტს ჰქონდა იმის შანსი, რომ ის ხელმოწერილი ყოფილიყო როგორც საპარლამენტო, ასევე არასაპარლამენტო და როგორც სახელისუფლებო, ასევე არასახელისუფლებო პოლიტიკური პარტიებისგან და მომხდარიყო, ალბათ, ერთადერთი პრეცედენტი ქართულ სინამდვილეში, როდესაც ძირითადი პოლიტიკური სპექტრი ერთ საკითხზე მაინც ახერხებს შეთანხმებას. სამწუხაროდ, ამ სამმა პარტიამ თავი აარიდა ამ დოკუმენტზე ხელის მოწერას. ეს უკვე მათი საქმეა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ სამმა პარტიამ პარლამენტის რეზოლუციას დაუჭირა მხარი, შესაძლოა, ეს პრობლემა არ იყოს. თუმცა მე თუ მკითხავთ, რა თქმა უნდა, ბუნებრივია, ჯობდა, რომ ჩვენს მიერ წარდგენილ დოკუმენტზე ყველა პოლიტიკური პარტიის ხელმოწერა ყოფილიყო, ვინც დღეს რაღაც სურათს ქმნის ქართულ პოლიტიკაში.

# 1 წლის თავზე პენსიის დაგროვება შესაძლებელი გახდება




ერთი წლის შემდეგ საპენსიო სისტემის ახალი მეთოდი ამოქმედდება. პენსიის დაგროვება დასაქმებულ და შრომისუნარიან მოსახლეობას 2017 წლიდან შეეძლება. პროგრამის ძირითადი ნიუანსები უკვე ცნობილია.

ერთ კონკრეტულ თვეში საპენსიო ფონდში გადარიცხული თანხა დასაქმებულის ხელფასის 6%-ზე ნაკლებს არ უნდა შეადგენდეს, სადაც სახელმწიფო და დამსაქმებელიც თანაბრად შეიტანენ თავიანთ წვლილს. ასეთ შემთხვევაში, თუ ხელფასის 2%-ს თავად პენსიის დამგროვებელი გადაიხდის, დამსაქმებელსა და სახელმწიფოს დამატებით 2%-2%-ის გადახდა დაეკისრებათ. შედეგად, ყოველთვიურად საპენსიო ფონდში ბენეფიციარის ხელფასის 6% დაირიცხება. გადარიცხული თანხა გათავისუფლდება დაბეგვრისგან და ის სრულად ჩაერიცხება აღნიშნულ სისტემაში მონაწილეს. გარდა ამისა, ადამიანი, რომელიც მონაწილეობს დაგროვებით საპენსიო სისტემაში, სახელმწიფოსგან წახალისდება. მას ექნება საგადასახადო შეღავათები და ფინანსური ინტერესი.

დღეს საქართველოში დაახლოებით 700 000-ზე მეტი პენსიონერია, რაც მოსახლეობის 15%-ს შეადგენს. წინასწარი გათვლებით, 2050 წლისთვის ასაკით პენსიონერთა რიცხვი 25%-ს გადასცდება. ეს კი ნიშნავს იმას, რომ პენსია წარმოუდგენლად მაღალ ხარჯებამდე შეიძლება გაიზარდოს. შასაბამისად, სახელმწიფოს ძალიან ძვირი დაუჯდება პენსიონერთა შენახვა.

ეკონომიკის სამინისტროს საპენსიო რეფორმების მთავარი სპეციალისტი, ირაკლი ბურჭულაძე ამბობს, რომ კერძო საპენსიო ფონდში მონაწილეობის ასაკი ჯერჯერობით არ არის განსაზღვრული.

„მიგვაჩნია, რომ 20-25 წელი არის ის პერიოდი, რა დროშიც სისტემაში მონაწილე ადამიანი პენსიაზე გასვლის დროს ადეკვატური თანხის მიღებას შეძლებს. ეს თანხა დაფუძნებული იქნება შენატანებზე, დროზე და ფონდის მოგებაზე. ფონდში მონაწილეობა იქნება ნახევრად სავალდებულო, ნახევრად ნებაყოფლობითი, ეს არის ჰიბრიდული სქემა, რომელშიც 2017 წლიდან ყველა ლეგალურად დასაქმებული ადამიანი ავტომატურად ჩაერთვება, თუმცა მათ უფლება ექნებათ, რომ განცხადების საფუძველზე ამ სქემაზე უარი თქვან და დატოვონ. ნებაყოფლობით მონაწილეობის უფლება არ გავრცელდება დამსაქმებელზე, რადგან ის ვალდებული იქნება, თუ დასაქმებული დარჩება სისტემაში და საკუთარი ნებით არ დატოვებს ფონდს, ჩაურიცხოს მას კუთვნილი 2%", – აცხადებს ბურჭულაძე.

დაგროვებითი საპენსიო სისტემა დასავლური მოდელია. ქვეყნების დიდი ნაწილი გადასულია აღნიშნულ სისტემაზე და უმეტეს შემთხვევაში, სოციალური მოდელი სრულიად ჩანაცვლებულია დაგროვებითი მოდელით.

აღსანიშნავია, რომ დაგროვებითი პენსიის რეფორმა უკვე რამდენიმე თვეა მუშავდება. მასში ჩართულია მსოფლიო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, ეკონომიკის სამინისტრო. შექმნილია უწყებათაშორისი კომისია, სადაც თანამშრომლობენ ფინანსთა სამინისტრო, ჯანდაცვის სამინისტრო, ეროვნული ბანკი და ა.შ.

(for.ge)

# „თბილისის მერია კორუფციაში ეფლობა. დასცინიან თბილისელებს და ნარმანიას სახით დაგვცინის ბიძინა ივანიშვილი“

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

**სანამ მერია დედაქალაქის ბიუჯეტის პროექტს საკრებულოში შეიტანდა, მონიტორინგის ცენტრი „მედიატორი“ მერიის ხარჯებს და ტენდერებს ამოწმებდა. ბიუჯეტი საკრებულოს უკვე გადაეგზავნა და „მედიატორმაც“ მორიგი კვლევა დაასრულა.**

**რა თანხები დახარჯეს თბილისის რაიონულმა გამგეობებმა ერთ პირთან მოლაპარაკების გზით წარმოებულ შესყიდვებზე?**




**„ალიას“ „მედიატორის“ წევრი, გივი კუბლაშვილი ესაუბრა:**

– მონიტორინგის ამ ეტაპზე ძალიან ბევრ საინტერესო და სასაცილო ფაქტს წავაწყდით (სატირალი რომ არ იყოს!). საინტერესოა, სადამდე ეყოფათ თბილისის მთავრობაში მაღალ თანამდებობაზე მყოფ პირებს ფანტაზია ბიუჯეტის გაფლანგვის მიმართულებით.

რა ვერ გავიგეთ, იცით? – არ მინდა, ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ ამდენი უპოვარი სად იპოვა ბიძინა ივანიშვილმა და მისმა გუნდმა და ყველა ერთად როგორ დანიშნა – ზოგი გამგებლად, ზოგი მერად, ზოგი კიდევ საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელად.

მოკლედ აგიხსნით, რა ხდება – ისნის გამგეობის გამგებელმა, ბატონმა ვახტანგ ქიზიყურაშვილმა გამოაცხადა ტენდერი, რომლის თანახმადაც ირკვევა, რომ ყიდულობს სამუშაო ჩექმებს თავისთვის, თავისი მოადგილეებისთვის და გამგეობის თანამშრომლებისთვის. ამ ჩექმების ფასები განსხვავებულია – გამგებელმა თავისთვის შეიძინა 125-ლარიანი ჩექმა, მოადგილეებისთვის – 3 წყვილი 105-ლარიანი, ხოლო დანარჩენებისთვის შეძენილი აქვს იაფიანი რეზინის ჩექმები.

ქიზიყურაშვილმა კიდევ ერთი შესყიდვა განახორციელა და შეიძინა კაპიუშონიანი ქურთუკები, რაშიც 2291 ლარი გადაიხადა. საკითხავია, რა გაუჭირდათ ისეთი, რომ ქურთუკი და ჩექმა საკუთარი ჯიბიდან ვერ უყიდიათ?! მაგრამ რატომ გაიღებენ საკუთარი ჯიბიდან, როცა არსებობს ბიუჯეტის ფული?! შევარდნაძის პერიოდიდან მოყოლებული, არც ერთი მთავრობს დროს არ მომხდარა, რომ ვინმეს ბიუჯეტის ფულით ადგილობრივ თვითმმართველობაში ტანსაცმელი ეყიდა.

იმ ქალაქში, სადაც საკრებულოს დეპუტატებს ჰგონიათ, რომ 1.18 ლარი საკმარისია ერტი დღით ადამიანისთვის გამოსაკვებად, როგორ უნდა ბედავდეს ერთი თანამდებობის პირიც კი, რომ თავისი კომფორტისა და სიამოვნებისთვის ბიუჯეტის ფულს ხარჯავდეს და თუნდაც ქურთუკსა და სამუშაო ჩექმას საბიუჯეტო სახსრებით ყიდულობდეს?

**— სხვა გამგეობებში რა ვითარებაა?**

– ამავდროულად, დიდუბის გამგებელმა (რომელმაც მე თქვენ გეტყვით და მანჰეტენად აქცია დიდუბის რაიონი) ირმა ზავრადაშვილმა, 4 650-ლარიანი ხელშეკრულება გააფორმა ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, 900 წიგნის გამოსაცემად.

**— რა წიგნებს გამოსცემს?**

– გამოსაშვებ წიგნში ასახული უნდა იყოს თურმე, რა მაგარი და რამდენი საქმე უკეთებიათ წლის განმავლობაში. გავიაროთ თევდორე მღვდლის ქუჩაზე და ყველა ნათლად დავინახავთ, რა საქმეებიც აქვთ ნაკეთები ამ ხნის განმავლობაში.

დიდუბის სკვერებში შევიდეთ და იქ ვნახოთ, საერთოდაც, რამდენად ღირსია ეს ადამიანი, რომ გამგებლად იწოდებოდეს. დაღრეცილ-დაბრეცილია სკამები და ქვები აქვს შეყუდებული, რომ არ წაიქცეს და გასწორდეს. ადამიანი, რომელიც ამბობს, რომ სამედიცინო განათლება აქვს და პროფესიით მუშაობდა კიდეც, რა უნდა გამგებლად?!

თუ მაინცდამაინც გყავს დასმული ეს ადამიანები გამგებლებად, იმდენი მაინც ხომ უნდა ესმოდეთ, რა არის პრიორიტეტული ქალაქისთვის, თუ არ ესმით, ვინმემ ხომ უნდა აუხსნას? როგორც კი ნარმანიამ შეატყო, რომ ხარჯვით ნაწილში პრობლემები ექმნებოდა, რის გამოც დიდი კრიტიკაც დამსახურა, მას მერე, ასე გაურკვეველი და უაზრო მიმართულებით დაიწყეს ხარჯვა. ბოლო დროს, შესყიდვების უმრავლესობა ხდება ერთ პირთან მოლაპარაკების გზით. ეს იმიტომ, რომ, რაც შეიძლება მალე მოხდეს თანხების ხარჯვა. მთავარია, მინუსი აირიდონ და რას აკეთებენ, თავადაც არ იციან.

შემდეგია საბურთალოს რაიონი. ამ საქმეში კალაძე ფიგურირებს. საუბარია კალაძის ცოლის ნათესავზე. ეს ადამიანი გახლავთ ლუკა კანკავა, კალაძის ცოლის დეიდაშვილი. ეს ადამიანი არის გამგებლის მოადგილე. მან გააფორმა ხელშეკრულება, რაც მოხდა მაშინ, როცა გამგებელი იყო შვებულებაში. ეს ადამიანი იმ დროს ასრულებდა გამგებლის მოვალეობას. მან, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, 22 ათას 880-ლარიანი ხელშეკრულება გააფორმა ერთი წლის წინათ დაარსებულ კომპანიასთან.

საინტერესო აქ ის არის, რომ ეს ერთი წლის წინათ დაარსებული კომპანია, არის ორი ახალგაზრდა პირის მიერ დაარსებული. ეს ახალგაზრდები ორივე 1991 წელს არიან დაბადებულები და ერთი ახალგაზრდა გახლავთ საჩხერიდან, ხოლო მეორე – სამტრედიიდან. მოკლედ, ამ საჩხერელ და სამტრედიელ ახალგაზრდებს დაესიზმრათ, რომ უნდა დაეარსებინათ კომპანია და მათთვის მაინცდამაინც კალაძის ცოლის ნათესავს უნდა გაეფორმებინა თითქმის 23 ათასი ლარის ხელშეკრულება – ყოველგვარი ტენდერის გარეშე.

**— რა მომსახურებისთვის გაუფორმეს ეს ხელშეკრულება?**

– პროექტი ეხება ვერეს ხეობაში, ზოოპარკთან ახლოს, ფერდობის გამაგრებას. როდესაც გამგეობას დავუკავშირდით, როგორც ჩანს, მათი საქალაქო სამსახურის უფროსი გივი კუბლაშვილი ვეგონე და ამიხსნეს, რომ მომავალ წელს, სტიქიის მიზეზით ხომ ვერ გავაფორმებდით ხელშეკრულებას და ახლა გამოვაცხადეთ, აბა, რა გვექნაო. სტიქიის მერე 6 თვეზე მეტია გასული და თურმე ახლა აღმოუჩენიათ, რომ იმ ფერდობს გამაგრება სჭირდება. ეს რომ გასამაგრებელი იყო, რა, მაშინ არ იცოდნენ?! არ იცოდნენ, რომ ეს დასჭირდებოდათ და ამისთვის ტენდერი იყო გამოსაცხადებელი? მაგრამ მაშინ ვერ გაუფორმებდნენ „შინაურ“ ორგანიზაციას ხელშეკრულებას.

ყველანაირი საფუძველი არსებობს უკვე იმის სათქმელად, რომ თბილისის მერია კორუფციაში ეფლობა. დასცინიან თბილისელებს და ნარმანიას სახით დაგვცინის ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ამბობდა, რომ ეს ადამიანი იქნებოდა კარგი მენეჯერი. ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ ხალხის გარკვეულ კატეგორიას დღესაც სჯერა, რომ ქალაქის ეს მენეჯმენტი რამის გამკეთებელია. ჯერ კიდევ ამბობენ, ვაცადოთო.

თბილისის ამ მთავრობას, მას მერე, რაც ხელისუფლებაში მოვიდნენ, დანგრევისა და გაფუჭების გარდა, არაფერი უკეთებია. რიმა ბერიძემვე თქვა საკუთარი პირით: მართალია, ვერაფერს ვაკეთებთ, მაგრამ კეთილშობილი ადამიანები ვართო. როგორი პატიოსნებიც არიან, ამას კარგად ვხედავთ მათ მიერ განხორციელებული შესყიდვებითა და სხვა საქმეებითაც.

**გივი კუბლაშვილთან საუბრის შემდეგ, ისნის გამგეობასთან დაკავშირება ვცადეთ. გვაინტერესებდა, რა მოტივით ყიდულობდა გამგებელი საკუთარი თავისთვის და სხვა თანამშრომლებისთვის ბიუჯეტის ფულით ჩექმებსა და ქურთუკებს. დაკავშირება შევძელით ამავე გამგეობის ერთ-ერთი განყოფილების წარმომადგენელ ელენე დადიანთან, რომელსაც სიტუაცია ავუხსენით და საქმის კურსში ჩავაყენეთ. დადიანი დაგვპირდა, რომ პრესსამსახურს დაგვაკავშირებდა, მაგრამ მიუხედავად ხანგრძლივი ლოდინისა, არც თავად შეგვხმიანებია და არც პრესსამსახურთან დავუკავშირებივართ.**

---

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## პაატა ზაქარეიშვილის გადადგომის მოთხოვნით აქცია გაიმართება




შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის გადადგომის მოთხოვნით, სამინისტროსთან აქცია გაიმართება, სახელწოდებით – „უბედურების ზონა“. აქციის ორგანიზატორი აფხაზთა კრების საორგანიზაციო ჯგუფია.

„სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილის უაღრესად აღმაშფოთებელი, თავხედური განცხადება, რომ, გარდა საბჭოთა წლებისა, აფხაზეთი არასდროს ყოფილა საქართველოს შემადგენლობაში, სრულებით არ გახლავთ ამ მოხელის ისტორიულ-პოლიტიკური უმეცრების ნაყოფი. ეს ნათქვამი წარმოადგენს პირდაპირ რუსეთიდან დავალებული პოზიციის მაღალ, სამთავრობო დონეზე გაჟღერებას, რომლის მიზანია ქართველი ხალხის შეგუება ახალი რეალობის – ოკუპანტის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარებისადმი. ეს მიზანი არაერთხელ იქნა გაცხადებული პუტინისა და მისი გარემოცვის მიერ, ისევე როგორც მისი „დასაბუთება“ ამ ტერიტორიების საქართველოსთან ისტორიული კავშირის უარყოფა. ამავე დროს ეს განცხადებები მსოფლიოს წინაშე წარმოგვაჩენს უპრინციპო, უღირს და უთავმოყვარეო საზოგადოებად, აბუჩად იგდებს სამშობლოს დამცველ მამულიშვილთა თავგანწირვას, ქვეყნის მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა ხსოვნას.

მინისტრი ზაქარეიშვილი რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ჰიბრიდული ომის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილის – იდეოლოგიური და საინფორმაციო დივერსიული გეგმების პირდაპირი შემსრულებელია საქართველოში. მისი შემდგომი ყოფნა მთავრობის შემადგენლობაში საფრთხეს უქმნის ქართულ სახელმწიფოებრიობას. კოლაბორაციონისტულ-კაპიტულანტური ძალები საკმაოდ მოძლიერდნენ როგორც საზოგადოებაში, ისე ხელისუფლებაში, რომელთა ერთ-ერთი მთავარი მედროშე სწორედ ზაქარეიშვილია. მისი ჩამოცილება ხელისუფლებიდან სრულიად აუცილებელია, ერთი მხრივ იმ საფრთხის შესამცირებლად, რომელიც მას მოაქვს, ხოლო მეორე მხრივ, სხვისთვის იქნება მეტად საყურადღებო გაკვეთილი, რომ ქართველი საზოგადოება სამშობლოს ღალატს არავის აპატიებს. ასეთივე უნდა იყოს მიდგომა ყველა სხვა დანარჩენის მიმართაც.

„აფხაზთა კრების“ ორგანიზაციები, როგორც საქართველოს მთლიანობის სადარაჯოზე მდგომი პატრიოტული საზოგადოებრივი პლატფორმა, აგრძელებს ანტიკოლაბორაციონისტულ ღონისძიებებს და იწყებს საპროტესტო აქციებს – „უბედურების ზონა“ რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ წარმოებული მტრული მოქმედების ხელშეწყობაში შემჩნეული პირებისა თუ დაწესებულებების წინააღმდეგ“, – წერენ ორგანიზატორები „ფეისბუკში“. (news.ge)

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ფურცელი წელი-წადის დღეებით
2. მარიო პიუზო. „ნათლია“ დონ ვიტო ...
3. უფრთო ფრინველი
4. კომპოზიროეი ენიო ...
5. ... მეფობენ და არა მეფენი
6. მსახიობი სიუზენ ...
7. ენდროს ფესვების საღებავი
8. მუსლიმანური მარხვა
9. რეჟისორი ჯეიმს ...
10. მსახიობი ჰიტ ...
11. მსახიობი ჯან-კარლო ...
12. მსახიობი ... კახიანი
13. ხერხემლის გაღუნვა წინისკენ
14. სპორტის სახეობა
15. „ჟიზელი“ კომპოზიტორი
16. რეჟისორი პედრო ...
17. რამაზ გიორგობიანი ფილმში
18. მსახიობი შონ ...
19. რასპე. „... მიუნჰაუზენის თავგადასავალი“
20. მკვეხარა
21. ღია საზაფხულო კაბა
22. მხატვარი. ხატავს ზღვას
23. დაძაბულობის მომენტი ნაწარმოებში
24. ავსტრიის დედაქალაქი
25. მდიდრული აგარაკი
26. ადამიანი ობობა
27. ესპანელი მხატვარი
28. ბომარშე. „... ქორწინება“
29. კურორტი ზუგდიდის რაიონში
30. ამერიკელი მომღერალი ქალი
31. მისი დედაქალაქია რეიკიავიკი
32. ბაშკირეთის დედაქალაქი
33. შენობა საწნახ-ლით
34. ... ტიუსოს ცვილის ფიგურების მუზეუმი
35. დადებითი ელექტროდი
36. სავაჭრო მაგიდა
37. თეთრი მასა ლუდის თავზე
38. ღმერთი ეგვიპტურ მითებში
39. ქიაჩელი. „... ბიგვა“
40. თბილისის უბანი
41. მსახიობი ჯორჯ ...
42. მდინარე აფხაზეთში
43. ჟან-კლოდ ... დამი
44. ცხვრის ჯიში
45. სახელმწიფო აზიაში
46. ... შვარცენეგერი
47. მოგზაური ... პოლო
48. კუდიანი ვარსკვლავი
49. ავტომობილი ... სენა
50. ბოსტნეული
51. მარცვლოვანი მცენარე
52. წყალსაცავი აზერბაიჯანში
53. შექსპირი. „... არაფრის გამო“
54. ქანდაკება წელს ზევით
55. გეომეტრიული ფიგურა
56. მოწაფე გეიშა
57. შინაური ცხოველი
58. იაპონური მულტიპლიკაცია
59. იაპონური თეატრი
60. გმირი ჯუზეპე ...
61. ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი
62. ექს-პრეზიდენტი ფრანსუა ...
63. მეცნიერება მღვიმეების შესახებ
65. ებრაული ენა
65. მხატვარი პოლ ...
66. კლავიშებიანი ინსტრუმენტი
67. მხატვარი ირაკლი ...
68. „... პიტკინი საავადმყოფოში“
69. ჩვილი, ანუ ...
70. ყვავილი
71. ... ულენშპიგელი
72. სალათის სოუსი
73. ქალაქი ავსტრალიაში
74. ერთი ქვეყნის მთავრობის წერილობითი მიმართვა მეორე ქვეყნის მთავრობისადმი
75. ზღვის ძუძუმწოვარი
76. თეატრალური ქუჩა ნიუ-იორკში
77. ანტიკური საბერძნეთი
78. ყაზახეთის დედაქალაქი
79. მსახიობი ... პაჩინო
80. მსახიობი ... ვარდალოსი
81. მსახიობის პირველი გამოსვლა
82. იტალიელი მხატვარი
83. ყურძნის გამომშრალი მარცვლები
84. იჩქარე ...
85. „ვაი, ... ვხედავ მზეს, როცა შენ ვერ გხედავ“
86. სსრკ-ში: ... ბერია
87. გაფუჭებული კვერცხი
88. ბადმინტონის ბურთი
89. ქალაქი დახრილი კოშკით
90. ... დაიჭირავს სიკვდილსა
91. მდინარე კახეთში
92. თამბაქოს მოსაწევი ხელსაწყო
93. დროშა
94. მდინარე ციმბირში
95. კუბის დედაქალაქი
96. სანელებელი
97. პურის სოკო
98. ჟამი
99. ფარული დაცინვა
100. მეჭეჭების მოსაწვავი სითხე
101. მოდუღებული ყურძნის წვენი
102. მარცვლოვანი მცენარე
103. მოჭიდავე ზოგადად
104. ბუმბულის ცვენის პერიოდი
105. სამეფო სპარსეთის ყურეში
106. დაბა ზესტაფონის რაიონში
107. საოპერო პარტია
108. ქართ. ანბანის ბოლო ასო
109. ძვ. თბილისური მიმართვა
110. მსახიობი ... მუტი
111. ჟაკ-... კუსტო
112. ... პუგაჩოვა
113. ბულგარელი ნათელმხილველი
114. თმის წითელი საღებავი
115. დროის საზომი მექანიზმი
116. მისალოცი სიტყვა
117. ბალზაკი. „მამა ...“
118. მხ/ფ „ორერა, ... სვლით“
119. მევიოლინე ვანესა ...
120. რეჟისორი ჯონ ...
121. სანელებელი
122. მშვილდით სასროლი ჯოხი
123. მსახიობი ... პიტი
124. ხელის საგრილებელი
125. ბუნებრივი ლურჯი საღებავი
126. ვირას საპირისპირო ბრძანება
127. რუსი ილუზიონისტი
128. „მაუგლი“ პითონი
129. ინდოელი მამაკაცის თავსაბურავი
130. გოია. „შიშველი ...“
131. რაიმეს შესაძლებლობა
132. მცენარე. ხდიან ტეკილას
133. მსახიობი ჯიმ ...
134. აღმოსავლური საჭმელი
135. ლიბრი თვალზე
136. „ორი ბატონის ...“
137. მსახიობი ... აფლეკი
138. მწერალი ... ჭავჭავაძე
139. ქალაქი საფრანგეთში
140. მატონიზირებელი სასმელი
141. ტბა აფხაზეთში

პასუხები: 1. კალენდარი; 2. კორლეონე; 3. კივი; 4. მორიკონე; 5. დრონი; 6. სარანდონი; 7. ალიზარინი; 8. რამაზანი; 9. კამერონი; 10. ლეჯერი; 11. ჯანინი; 12. იმედა; 13. ლორდოზი; 14. კრივი; 15. ადანი; 16. ალმოდოვარი; 17. სერენადა; 18. კონერი; 19. ბარონ; 20. ბაქია; 21. სარაფანი; 22. მარინისტი; 23. კულმინაცია; 24. ვენა; 25. ვილა; 26. სპაიდერმენი; 27. გოია; 28. ფიგაროს; 29. ანაკლია; 30. მადონა; 31. ისლანდია; 32. უფა; 33. მარანი; 34. მადამ; 35. ანოდი; 36. დახლი; 37. ქაფი; 38. ოსირისი; 39. გვადი; 40. ვეძისი; 41. კლუნი; 42. ფსოუ; 43. ვან; 44. მერინოსი; 45. ისრაელი; 46. არნო; 47. მარკო; 48. კომეტა; 49. აირტონ; 50. ისპანახი; 51. ბრინჯი; 52. მინგეჩაური; 53. აურზაური; 54. ბიუსტი; 55. რომბი; 56. მაიკო; 57. ცხენი; 58. ანიმე; 59. ნო; 60. გარიბალდი; 61. სირიუსი; 62. მიტერანი; 63. სპელეოლოგია; 64. ივრითი; 65. გოგენი; 66. პიანინო; 67. ოჩიაური; 68. მისტერ; 69. ალუა; 70. ია; 71. ტილ; 72. მაიონეზი; 73. ადელაიდა; 74. ნოტა; 75. სელაპი; 76. ბროდვეი; 77. ელადა; 78. ასტანა; 79. ალ; 80. ნია; 81. დებიუტი; 82. ტინტორეტო; 83. ქიშმიში; 84. ნელა; 85. ველარ; 86. ლავრენტი; 87. ლაყე; 88. ვოლანი; 89. პიზა; 90. ვერ; 91. იორი; 92. ნარგილე; 93. ალამი; 94. ირტიში; 95. ჰავანა; 96. მარილი; 97. ობი; 98. დრო; 99; ირონია; 100. ლაპისი; 101. ბადაგი; 102. სოია; 103. ფალავანი; 104. განგური; 105. ბაჰრეინი; 106. შორაპანი; 107. არია; 108. ჰაე; 109. ტო; 110. ორნელა; 111. ივ; 112. ალა; 13. ვანგა; 114. ინა; 115. საათი; 116. ადრესი; 117. გორიო; 118. სრული; 119. მეი; 120. ვუ; 121. დარიჩინი; 122. ისარი; 123. ბრედ; 124. მარაო; 125. ინდიგო; 126. მაინა; 127. კიო; 128. კაა; 129. ჩალმა; 130. მახა; 131. უნარი; 132. აგავა; 133. კერი; 134. ლულაქაბაბი; 135. ბისტი; 136. მსახური; 137. ბენ; 138. ილია; 139. ლიონი; 140. ჩაი; 141. რიწა. იკითხება: ნიკოლ კიდმანი.

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## დასაქმებული დედების ქალიშვილები უფრო წარმატებულები არიანო



ხშირად გაიგებდით ფრაზებს – „ბავშვის მერე აღარ მიმუშავია“, „როგორ უნდა გავსულიყავი სამსახურში, ბავშვს ყველა ეტაპზე იმდენი დრო სჭირდება“ და მრავალი მსგავსი თავის მართლება, რის შედეგადაც ვიღებთ განერვიულებულ, არარეალიზებულ დედას. დედები თავიანთ კარიერულ ცხოვრებას ორ ეტაპად ჰყოფენ – ბავშვამდე და ბავშვის გაჩენის შემდეგ. უფრო სწორად კი, ერთი ეტაპი აქვთ ბავშვის გაჩენამდე. შემდეგ მათი განვითარებისა და წინსვლის ასპარეზი მხოლოდ ოჯახია.

ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიზნესსკოლის სწავლულებმა 24 ქვეყანაში კვლევა ჩაატარეს. ჰოდა, აღმოჩნდა, რომ დასაქმებული მშობლების ქალიშვილები უფრო ხშირად და მარტივად პოულობდნენ სამსახურს, ვიდრე იმ მშობლების შვილები, რომლებიც სახლში ისხდნენ. ამასთანავე, პირველი კატეგორიის გოგონებს უფრო ხშირად ჰქონდათ კარიერული წინსვლა.

ბიჭების შემთხვევაში დედის დასაქმებულობა თითქმის არანაირ გავლენას არ ახდენს. ხანდახან არის შემთხვევები, როცა დიასახლისი დედის ვაჟები თავიანთი ოჯახის მიმართ უფრო მზრუნველები არიან.

*geoscaince.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ადამიანის ხასიათი დიეტის ეფექტურობაზე გავლენას ახდენს



თურმე დიეტის შედეგიანობა ადამიანის ხასიათზე ყოფილა დამოკიდებული. ვინ იფიქრებდა, რომ დიეტის განმსაზღვრელი ექსტრავერტობა-ინტროვერტობა იქნებოდა, მაგრამ სწავლულებმა ასეაო და, აბა, მაგათ როგორ შევეწინააღმდეგოთ.

თურმე კომუნიკაბელურ ადამიანებს მთლად კარგად ვერ ჰქონიათ საქმე. სწავლულებმა თქვეს, ეგენი ათას ვინმეს ხვდებიან, ათას ადგილას დადიან, ათასთან მიდიან სტუმრადო და რა გასაკვირია, რომ ცდუნებისა და დიეტის დარღვევის მეტი შანსი ეძლეოდეთო.

მათგან განსხვავებით, ინტროვერტები არ არიან ცა და ქვეყანას მოდებული, სხედან სახლში კომპიუტერთან, ან წიგნს კითხულობენ. თანაც უფრო მეტად წუხან საკუთარ ჯანმრთელობაზე, დიეტასაც თანმიმდევრულად იცავენ და ფიზიკურ ვარჯიშებსაც ხშირად აკეთებენ. ვინაიდან წესრიგისა და დისციპლინის მოყვარული ხალხია.

ემოციურ ექსტრავერტებს უჭირთ დაკლება, იმიტომ, რომ ისინი იმპულსურები არიან, განწყობაზე არიან დამოკიდებული და უკიდურესი, ექსტრემალური გართობიდან შესაძლოა, მოულოდნელად ღრმა დეპრესიაში ჩავარდნენ. დეპრესიის დროს კი რა არის ნომერ პირველი წამალი? რა თქმა უნდა, შოკოლადი და რაც შეიძლება მეტად კალორიული საკვები.

რა ქნან ექსტრავერტებმა, არ შეუძლიათ ერთ რამეზე კონცენტრირება. მათ შორის, დიეტაზეც. არასერიოზულად უყურებენ წესრიგსა და ფიზიკურ ვარჯიშს.

შედეგსაც იღებენ ზედმეტი კილოგრამების სახით.

*globalscience.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## კოლეგებთან ერთად, სადილობა მუშაობის ხარისხს გაგიუმჯობესებთ



კორნელის უნივერსიტეტის სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ რაც უფრო ხშირად სადილობენ კოლეგები ერთად, მით უფრო პროდუქტიულია კოლექტივთან მათი შრომა.

კვლევა 15 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. სწავლულებმა 50 სახანძრო სადგური შეისწავლეს და 395 თანამშრომელი გამოკითხეს. მათ სთხოვეს, 1-დან 10-მდე ქულით შეეფასებინათ სახანძრო ჯგუფის მუშაობის პროდუქტიულობა. გარდა ამისა, ანკეტაში შედიოდა ისეთი კითხვები, როგორიცაა, რამდენად ხშირად სადილობენ თანამშრომლების გარემოცვაში. აღმოჩნდა, რომ ჯგუფებმა, რომლებიც სხვებზე უფრო ხშირად სადილობდნენ ერთად, გუნდური მუშაობის ეფექტიანობაში უფრო მაღალი შეფასება მიიღეს.

– როცა ვინმესთან ერთად სადილობთ ძალიან ინტიმური პროცესია. ეს პროცესი გაახლოებს ადამიანთან. ერთად სადილობა, საკვების გაყოფა უძველესი ტრადიციაა, – ამბობენ მკვლევარები.

კვლევის ავტორები კომპანიებს ურჩევენ, რომ გააკეთონ კაფე, ან სასადილო, სადაც თანამშრომლები ერთად ისადილებენ. ასე მათი მუშაობის ხარისხი საგრძნობლად გაიზრდება.

*korrespondent.net*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## რატომ ახამხამებს ადამიანი ძილის დროს თვალებს?



რამდენიმე კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა ჩაატარეს ექსპერიმენტი იმის გამოსაკვლევად, რატომ ახამხამებს ადამიანი ძილის დროს თვალებს.

კვლევაში მონაწილეობდნენ ამერიკელი, ებრაელი და ფრანგი მეცნიერები. აღმოჩნდა, რომ აღნიშნულის მთავარი მიზეზი ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობაა. სტრესი და ფსიქოემოციური ხასიათის პრობლემები მოუსვენარი ძილის წინაპირობაა.

ადამიანს დაძინებისას, პირველი 2 საათის განმავლობაში მშვიდად სძინავს. შფოთვა და მოუსვენრობა დილის საათებში ეწყება, როცა გაღვიძებისა და საქმის დაწყებისთვის ემზადება.

*globalscience.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ამბიციური მშობლები შვილებს სწავლაში ხელს უშლიან



ხშირად ხდება, რომ მშობლები თავიანთი აუხდენელი ოცნებებისა და მიუღწეველი მიზნების რეალიზებას შვილების მეშვეობით ცდილობენ. მაგალითად, თუ მამას სურდა, რომ ფიზიკოსი ყოფილიყო და ვერ მოახერხა, შვილს აიძულებს, რომ ფიზიკა კარგად ისწავლოს და სამომავლოდაც ეს პროფესია აირჩიოს. ამ დროს კი, შესაძლოა, შვილს სულაც ცეკვა უნდოდეს. ასეთი ხერხით მშობლები საქმეს აფუჭებენ. ბავშვების წარმატებულობის ხარისხი მხოლოდ იმიტომ იკლებს, რომ მათზე ზეწოლას ახორციელებენ.

კვლევამ ცხადყო, რომ რამდენადაც მეტს ელიან მშობლები შვილებისგან, მით უფრო უარესი შედეგი აქვთ ბავშვებს.

მშობლები გამუდმებული მოთხოვნით, რომ კარგად ისწავლონ და ისწავლონ სწორედ ის, რაც მათ სურს, ბავშვებს სწავლის მოტივაციას უქრობენ. ასე რომ, ყველაზე კარგი, რაც შეგიძლიათ, შვილს გაუკეთოთ, არის ის, რომ არ დააძალოთ არაფერი. წინააღმდეგ შემთხვევაში ისე გამოვა, რომ უკეთესის სურვილით უარეს შედეგს მიიღებთ. იყავით მომთმენი და ნუ მოახდენთ შვილებზე ზეწოლას.

*myjane.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## როგორ მივაღწიოთ წარმატებას სასიყვარულო ურთიერთობებში?



იმისთვის, რომ სასიყვარულო ურთიერთობამ სიხარული მოგვიტანოს და ჰარმონიული განვითარება ჰპოვოს, აუცილებელია, გამოვნახოთ დრო საკუთარი თავისთვის.

წარსულში ყველას ჰქონდა უსიამოვნებები. ყველას ჰქონია მომენტი, როცა უფიქრია, რომ ვიღაც სწორედ იმიტომ იყო გაჩენილი, რომ მისთვის პრობლემები შეექმნა. მსგავსმა შემთხვევებმა არ უნდა დაგვაკარგვინოს სიყვარულისადმი რწმენა. უბრალოდ, საკუთარ თავს დრო უნდა მივცეთ, რომ შეძლოს ყველა ჭრილობის მოშუშება. როცა ახალ ურთიერთობას ვიწყებთ ისე, რომ ძველი ჯერ კიდევ არ გადაგვიტანია, ჭრილობა აუცილებლად იხსნება და მორიგი უსიამოვნებები მოაქვს.

არ უნდა შევწყვიტოთ საკუთარ თავზე მუშაობა. ადრე თუ გვიან აუცილებლად მივიღებთ შედეგს და აუცილებლად გამოჩნდება ადამიანი, რომელიც ჩვენ ირგვლივ სრულ ჰარმონიას შექმნის.

*adme.ru*



– მამიკო, მამიკო, გაიხედე ფანჯარაში – გვერდით კორპუსში ვიღაცა ბიძია ვიღაცა დეიდას ხერხავს...

– გამოდი, კაცო, დააცადე ხალხს, სექსით დაკავდეს... მოიცა, მართლა ხერხავს, ეს შობელძაღლი, პატრულში დარეკე! ჩქარა!!!

*****

– ექიმო, ჩემი ცოლი გაუთავებლად ახველებს და ახველებს. რა წამალი აღარ ვსინჯეთ, მაგრამ უშედეგოდ!

– და ბალახი არ სცადეთ?

– ვცადეთ – ახველებს და კვდება სიცილით...

*****



– როგორც იქნა, გავარკვიე, რატომ ვარ ასეთი დაუდევარი და რატომ ვვარდები ყოველწამს!

– რატომ?

– რატომ და იმიტომ, რომ ფეხებზე 10 თითი მაქვს!

– ჰო, მაგრამ ფეხებზე ყველას 10 თითი აქვს.

– მართლა? 7 ერთზე და 3 მეორეზე?!

*****

– წიგნი „ხელჩართული ბრძოლა“ ძალიან ბევრ კითხვაზე გაპოვნინებთ პასუხს. მაგალითად: „ოე, ჩვენი ძმა, რა უბნელი ხარ?“, „სიგარეტი რატომ არ გაქვს?“ და ყველაზე პოპულარული: „როგოოორ?!“

*****

შეკითხვა სომხურ რადიოს:

– რა საერთოა მინი კაბასა და ჩადრს შორის?

– ერთიც და მეორეც შეუხედავ ქალებს სახის დამალვის საშუალებას აძლევს!

*****

სასწორიდან ჩამოსულმა ქერამ აღფრთოვანებით შესძახა:

– რა მაგარია ეს ინტელექტის განვითარების კურსები: ბოლო თვეში ჩემი ტვინი კილო-ნახევრით დამძიმებულა...

*****



– მივლინებაში წასვლის წინ, ცოლს გავეხუმრე, რომ საძინებელში ვიდეორეგისტრატორი დავამონტაჟე... დაბრუნებულს სამზარეულოში მაგიდა დამხვდა დამტვრეული...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით სიარული სახიფათოა, მაგრამ უფრო სახიფათოა ბოტასებით სირბილი...



ამერიკელმა ფიზიოლოგებმა დაადგინეს, რომ ბოტასებით სირბილისგან მიღებული ნეგატიური ეფექტი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებით ხშირად სიარულზე გაცილებით სახიფათოა! არსებობს თუ არა გამოსავალი? პასუხი საკმაოდ პოეტურია:

– ფეხშიშველ სირბილში, – და მეორე: ბოტასებით ნელა მოძრაობაში.

ექსპერიმენტში, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში გრძელდებოდა, 300-მდე მოხალისე მონაწილეობდა. თითოეული მათგანის დავალება იმაში მდგომარეობდა, რომ კვირაში მინიმუმ 15 კილომეტრი უნდა დაეფარათ – ზოგს ბოტასებით, ზოგს კი ფეხშველას.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, სპეციალისტები მოხალისეების სახსრების მდგომარეობას აკვირდებოდნენ და საბოლოო ჯამში, დაადგინეს, რომ ყველაზე ძვირად ღირებული ბოტასებიც კი საფრთხისგან დაცვას საერთოდ ვერ უზრუნველყოფს.

– პირველ რიგში, უარყოფით შედეგს სახსრები იღებს, მაგრამ ყურადსაღებია ისიც, რომ ბოტასებით სირბილი ნეგატიურად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა მდგომარეობაზე. ამდენად, უმჯობესია, ნელი სიარული, ან თუ შესაძლებელია, ფეხშველი სირბილი, – განმარტავენ ამერიკელი ფიზიოლოგები.

*medkarta.com*

## მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული ბინა 240 მილიონი ევრო ღირს



და რაც ყველაზე მთავარია, აპარტამენტებს, რომელიც მონტე-კარლოში მდებარეობს, მყიდველი გამოუჩნდა.

ბედნიერი, რომელმაც მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული ბინა შეიძინა, აღმოჩნდა ადამიანი ახლო აღმოსავლეთიდან, თუმცა მისი ვინაობა, რაღა თქმა უნდა, არ ზუსტდება.

აპარტამენტებში სულ სამი საძინებელია, თუმცა თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი სამზარეულო, ორი აბაზანა, საგარდერობო და საოჯახო კინოთეატრი. ასევე, ბინაში გამოყოფილია ოთახი სპაპროცედურებისთვის, ბიბლიოთეკა და ღია ტერასა.

მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული ბინის ფართობი 1625 კვადრატული მეტრია, რაც იმას ნიშნავს, რომ 1 კვადრატული მეტრის ღირებულება 150 ათასი ევროა.

წარსულში ბინა ბრიტანელ ბიზნესმენებს ეკუთვნოდათ, რომლებიც მთელ სახსრებს ელიტარულ სახლებში დებდნენ. სამწუხაროდ, არც მათი ვინაობა ზუსტდება, თუმცა დიდი ეჭვი გვაქვს, ამ სარფიანი გარიგებით თავს ძალიან ბედნიერად უნდა გრძნობდნენ.

*myjane.ru*

## ლიფტის ღილაკები უნიტაზზე 40-ჯერ ბინძური აღმოჩნდა



გარკვეული პერიოდის წინ ჩატარებული კვლევის შედეგად მედიკოსებმა დაადგინეს, რომ კომპიუტერის კლავიატურა უნიტაზზე თითქმის 10-ჯერ ბინძურია, თუმცა კიდევ უფრო დიდი საფრთხის შემცველი აღმოჩნდა ლიფტის ღილაკები. ამ შემთხვევაში, უნიტაზისა და ერთი შეხედვით, არცთუ სახიფათო ღილაკებს შორის სხვაობა მთელი 40 საფეხურია.

ამერიკელმა სპეციალისტებმა კვლევა სასტუმროებში, რესტორნებში, ბანკებში, ოფისებსა და აეროპორტებში ჩაატარეს და მართლაც სავალალო სურათი აღმოაჩინეს. კერძოდ, ღილაკის ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე მათ 313 ბაქტერიას მიაგნეს, მაშინ, როცა ტუალეტის დასაჯდომის ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე ბაქტერიის მხოლოდ 8 სახეობა ბინადრობს.

თუკი გსურთ, რომ სხვადასხვა სიმძიმის ინფექცია არ შეგხვდეთ და რაც მთავარია, საშიში დაავადებებისგან ბავშვები დაიცვათ, ხელების დაბანას კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოთ.

*medkarta.com*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**11 დეკემბერი:** ყველაზე დიდი შეცდომა, რაც დღეს შეიძლება დაუშვათ, საკუთარი შესაძლებლობების შეუფასებლობა იქნება. დასანანი იქნება, თუ ენერგიას ფუჭად დახარჯავთ.

**კურო 22.04-21.05**

**11 დეკემბერი:** იმდენად ენერგიული იქნებით, შესაძლოა, მისი ბოლომდე დახარჯვა გაგიჭირდეთ. ისეთი საქმეები შეარჩიეთ, რომელთა მოგვარებაც დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

**ტყუპები 22.05-21.06**

**11 დეკემბერი:** შეიძლება მოხდეს ცვლილებები, რომლებიც თქვენც შეგეხებათ. შეეცადეთ, პანიკას არ აჰყვეთ, ამ მდგომარეობიდან გამოსვლა ადვილი არ იქნება.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**11 დეკემბერი:** ის, რაც კონფიდენციალური ინფორმაცია გეგონათ, ან ჭორი აღმოჩნდება, ან ცნობილი ფაქტი. სულელურ მდგომარეობაში ნუ ჩაიგდებთ თავს.

**ლომი 23.07-22.08**

**11 დეკემბერი:** საკმაო შემოქმედებითი პოტენციალი გექნებათ და მისი არგამოყენება სისულელე იქნება, თუმცა საკმაო ენერგიად დაგიჯდებათ.

**ქალწული 23.08-22.09**

**11 დეკემბერი:** ყოველმხრივ დაძაბული დღეა მოსალოდნელი და ამისთვის წინასწარ უნდა მოემზადოთ, თორემ თავს დათრგუნულად იგრძნობთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**11 დეკემბერი:** შესაძლოა, ძალიან მომაბეზრებელი ადამიანის რეპუტაცია მოიპოვოთ. ამიტომ სასურველია, ნაკლებად ილაპარაკოთ და ხშირად გაიღიმოთ.

**მორიელი 23.10-21.11**

**11 დეკემბერი:** წვრილმანებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ. ეს მნიშვნელოვნად შეანელებს წინსვლას, სამაგიეროდ, მეტ შედეგს მოგიტანთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**11 დეკემბერი:** სხვების ნდობა, რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ თავის დაზღვევა არ გაწყენდათ. მოტყუებას არავინ გპირებთ, მაგრამ არავინ იცის, რა შეიძლება მოხდეს.

**თხის რქა 22.12-19.01**

**11 დეკემბერი:** საკმაოდ სიტყვამახვილი იქნებით და თუ მოზომილად არ ილაპარაკებთ, შეიძლება დაზარალდეთ კიდეც. ემოციები მოთოკეთ.

**მერწყული 20.01-18.02**

**11 დეკემბერი:** როგორც ჩანს, სერიოზული, გულწრფელი საუბრის დრო დადგა. რა თემაზე, თავად გეცოდინებათ. არ გადადოთ, დროულად გაარკვიეთ ყველაფერი.

**თევზები 19.02-20.03**

**11 დეკემბერი:** შეეცადეთ, თანამოსაუბრეებს ყურადღებით მოუსმინოთ. დიდი ალბათობით, მოისმენთ რაღაცას, რაც პრობლემების მოგვარებაში დაგეხმარებათ.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

577 74 99 89

„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი

(15 საათიდან)

ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.

## დამსვენებლების საწოლებს სასტუმროების თანამშრომლები გაათბობენ



როგორი სასიამოვნოა, ზამთარში სხვის მიერ გამთბარ საწოლში ჩაგორება, არა?

ჰოდა, სწორედ ასეთი სიამოვნების მიღებას სთავაზობს საკუთარ დამსვენებელს სასტუმროების ქსელი „ჰოლიდეი“, რომლის ორიგინალური მომსახურება შემდეგში მდგომარეობს – სტუმრების საწოლებს სასტუმროების თანამშრომლები გაათბობენ, რისი წყალობითაც, ცივ თეთრეულთან შეხება უსიამოვნო შეგრძნებებს აღარავის აღუძრავს.

პირველ ეტაპზე, „ჰოლიდეი“ თავის ახალ მომსახურებას იმ ქვეყნებში დანერგავს, სადაც განსაკუთრებით ცივი კლიმატი მეფობს, თუმცა არ არის გამორიცხული, სერვისმა ისეთი პოპულარობა მოიხვეჭოს, რომ მასშტაბები უფრო გაფართოვდეს.

უჩვეულო იდეის ავტორთა განმარტებით, საწოლის გათბობაზე სპეციალურ ტანსაცმელში გამოწყობილი თანამშრომლები იზრუნებენ, პროცედურა კი დაახლოებით 5 წუთს გასტანს.

რამდენად იქნებიან დაზღვეულები სასტუმროს თანამშრომლები იმისგან, რომ დამსვენებლებმა მათი საწოლში დატოვება არ მოინდომონ, ამ საკითხზე არავინ საუბრობს, ჩვენ კი ვეჭვობთ, რომ ამის მსურველი ბევრი გამოჩნდება...

ცნობილია, რომ ამ დროისთვის, ახალი მომსახურება უკვე მოქმედებს დიდი ბრიტანეთის რამდენიმე მსხვილ ქალაქში.

*gazeta.ua*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



– ამას წინათ სახლში მისულს ცოლი კარში გამომეგება, სექსუალური საცვლები ეცვა, მაცდურად მიღიმოდა. მერე გამჭოლი მზერა მესროლა, თოკი მომაწოდა და ვნებიანი ხმით მითხრა:

– დამაბი და როგორც გაგიხარდება, ისე მოიქეცი!

...დავაბი და სათევზაოდ წავედი...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

» 211359457

გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.33